

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბუკურუნი სიღვრის, ფაქილადით და ჩაბრებით ბუღთის გაფანა ყულა უკადრისდაზო უსამაგლესია.

საქართველოს  
კავშირგაბმის  
სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა


# რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.  
შაბათი, 3 ოქტომბერი, 2009 წელი.  
№ 202 (6302)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayefy.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

ოთარ ჭილაკა:

მეგობრები,  
რეკორტ  
ქვეუნი  
ნაწილი...



ხვალ შენგინდის შიშა ღილ შიშაღალს და პრისკაცს ოთარ ჭილაკეს შიშაღარებს

„არც ტყვია, არც სახრ-ჩობელა“



5 ერის მოძღვარი

7:5 რუსეთის სასარ-გებლოდ

ქირინოვსკი მკაცრი „ბიჭია“

3

მართლა ინგრევა თუ არა „იგელი“?

4



ვის გლოვად რეკავს ზარი?  
ღიღი მსხვერკლ-  
3 შენირვის ჭაგი

გოგა ხაინღრავა:  
საქართველოს ხელისუფლებასთან ერთადერთი სალაპარაკო ანა კომპალია

გამოხატვა

საკაშვილი ტალიაინის კომისიას უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტალიაინის კომისიას უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს.

ეს იყო ფაქტების დამდგენი მისია. მისი ფუნქცია არ ყოფილა დასკვნების გაკეთება, მაგრამ მისიამ მაინც აიღო საკუთარ თავზე დასკვნების გაკეთება და მაინც თქვა, რომ მართალია, რუსეთის ჯარი იყო შემოსული საქართველოში, მაგრამ საქართველომ მაინც პირველმა გაისროლა და ამიტომ, ეს გარკვეული ნორმების დარღვევაა. შეიძლება უკეთესი პროფესორებიც მყავდა საერთაშორისო სამართალში, ვიდრე დასკვნის გამკეთებელ ზოგიერთ ევროპელ ექსპერტს, მაგრამ სულაც არ არის საჭირო ბევრი რამის ცოდნა იმისთვის, რომ სწორი შეფასება მისცე უცხო ქვეყნის კარგად შეიარაღებული სადესანტო ჯარის შენს ტერიტორიაზე შემოჭრას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ომით გემუქრება. პირველ კურსელიც კი იტყვის, რომ ამას უცხო ქვეყნის მიმართ პირდაპირი საგარეო აგრესიაა ქვია, — განაცხადა გუშინ სააკაშვილმა.

— სიმართლისთვის სწორი შეფასება რომ მიეცათ, მაშინ, რუსეთისთვის პირდაპირ ხელბორკილი უნდა დაედოთ და დაეჭირათ, ამის თავი კი არა აქვთ, — დასძინა სააკაშვილმა.

„უთავმოყვარეოა ყველა თანამემამულე, რომელიც ეთანხმება დასკვნის იმ პუნქტს, რომ პირველი გასროლა საქართველომ მოახდინა“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, „უთავმოყვარეოა“ ყველა თანამემამულე, რომელიც ეთანხმება ტალიაინის კომისიის დასკვნის იმ პუნქტს, სადაც წერია, რომ პირველი გასროლა საქართველომ მოახდინა.

— ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს იმის თავმოყვარეობა არა აქვს, აღიაროს რომ ეს ასე არ არის. ჩვენი სიმართლე დადასტურდა და ეს უნდა გაგვიხარდეს. პირიქით, ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ მოხდეს ქვეყნის დეოკუპაცია. სიმართლე იპოვის თავის გზას, — განაცხადა სააკაშვილმა და აქვე საზოგადოების ყველა იმ წარმომადგენელს, რომლებიც ომის დაწყებაში საქართველოს ადანაშაულებენ, შეკითხვით მიმართავს.

— ასეთი ადამიანებისთვის მაქვს კითხვა: ბრიტანეთ-ესპანეთის ომის დროს, როცა ესპანელები ბრიტანელების ნაპირებთან განლაგდნენ, ინგლისელებმა პირველებმა გაისროლეს, თუმცა ეს არ შეფასებულა ბრიტანეთის მიერ ომის დაწყებად. როგორ ფიქრობთ, ბრიტანეთმა დაინიშნა ომი თუ ესპანეთმა? თუ ის, რაც სწორია ევროპისთვის არ არის სწორი საქართველოსთვის? მიმართა რომ ყველაფერი რასაც აკეთებენ ცივილიზებული ერები, ერთი ერთზე გამოდგება ჩემი ქვეყნისთვისაც. მერე რა რომ ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, სამაგიეროდ, ჩვენ, მთელს ქვეყანაზე ყველაზე დიდი ისტორია და გამბედაობა გვაქვს, — განაცხადა ქვეყნის პირველმა პირმა.

— ჩვენ ადრე ვერ დავადასტურეთ, რომ აფხაზეთში განხორციელებული აგრესია იყო რუსეთის ბრალი. ცხინვალის შემთხვევაში ეს ფაქტობრივად დადასტურდა, — განმარტა სააკაშვილმა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის რუსეთისთვის წინააღმდეგობის განუვას არ ნანობს.

XO-208-260



ინფორმაცია

ტალიაინის კომისიის დასკვნით ყველა კაპაოფილია?

საქართველოში საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს შეფასებით, ომის მონაწილე მხარეებს შორის „ცუდი მოგონებების დაძლევა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება უნდა მოხდეს“.

— მინდა აღვნიშნო, რომ ტალიაინის კომისიის დასკვნით ყველა კაპაოფილია. ახლა საჭიროა მშვიდობის განმტკიცება, ცუდი მოგონებების დაძლევა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. საჭიროა გაკეთდეს ის, რაც გერმანიამ ოცი წლის წინ გააკეთა, — აცხადებს ერიკ ფურნიემ.

ამასთან, ის კიდევ ერთხელ დასძენს, რომ რუსეთი არ ასრულებს სარკოზი-მედევედვის შეთანხმებას, რაც საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა მოსკოვში ვიზიტის დროს აღნიშნა კიდევ.

რუსეთი არ ასრულებს სარკოზი-მედევედვის შეთანხმებას, რადგან ევროპულ დამკვირვებლებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში შესვლა, — ნათქვამია ელჩის განცხადებაში.

დაინგავე უნდა დაისაჯოს

კონსერვატორები მოითხოვენ, რომ აგვისტოს ტრაგედიაში დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვროს. ამის შესახებ პარტიის წევრებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

— მივესალმებით ტალიაინის კომისიის დასკვნის მიუხედავად, მეტად საგულისხმოა კომისიის დასკვნა, იმის შესახებ რომ საომარ პროცესს კონკრეტულად 2008 წლის აგვისტოში სათავე დაუდო სააკაშვილის ხელისუფლების მიერ წამოწყებული სამხედრო მოქმედებებმა, — განაცხადა პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

— ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, საქართველოში შეიქმნას დამოუკიდებელი კომისია, რომელიც გამოიძიებს აგვისტოს ომის საქმეს. ვაფრთხი-

ლებთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ თუ საქართველო უარს იტყვის ამ გამოძიებაზე, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში საკითხი საქმის შავის სასამართლოში გადაცემის შესახებ, — განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, კახა კუკავამ.

ბორის ჩოჩიანი: მთავარი ითქვა — საქართველო აბრეშოვნი

ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხში ბორის ჩოჩიანი აცხადებს, რომ ევროკავშირის ეგიდით შექმნილმა აგვისტოს მოვლენების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ გმირული საქციელი ჩაიდინა.

— ორმაგი პოლიტიკის აყვავების ფონზე, მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ საქართველოს მრავალი ქვეყანა მხარს უჭერდა და აიარალებდა, კომისიამ გაბედა და განაცხადა მთავარი — 2008 წლის აგვისტოში ომი სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო, — აცხადებს ბორის ჩოჩიანი.

მისივე თქმით, კომისიის დასკვნაში მართალია არის გარკვეული დასკვნები, რომლებსაც ოსური მხარე არ ეთანხმება.

„თუმცა, მთავარი ითქვა — საქართველო აბრეშოვნი“, — აცხადებს ჩოჩიანი.

წმ. ბიორგის ორდენი — ლიტვის პირველი პრეზიდენტი

საქართველოში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგის წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. როგორც სააკაშვილმა პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა, ვიტაუტას ლანდსბერგის ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელი და მსოფლიოში თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მებაირაღეა.

XO-208-260

ოპოზიცია

ნინო ბურჯანაძემ სააკაშვილის საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა



ას, ლევან გაჩეჩილაძეს და ექსპერტ სოსო ცისკარიშვილს შეხვდა.

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ — ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ვიგაუდას უშაყვასთან შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა.

სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიგაუდას უშაყვასი არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს ნინო ბურჯანაძეს, ირაკლი ალასანი-

ქაპრაშვილი

საკაშვილმა პასუხი უნდა აგოს!

მს მოთხოვნა გასდევდა ლიტვით პრესკონფერენციას, რომელიც გუშინ მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ გამართა.

„კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დამდგენი საერთაშორისო კომისიის დასკვნის ობიექტურობა — ითქვა კონფერენციაზე ერთხმად აღიარა საქართველოს ხელისუფლებამაც და რუსეთმაც. თუმცა სრულიად ალოგიურია სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების კმაყოფილება მაშინ, როცა კომისია სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე ღიად წერს“.

ბესელიას თქმით, საერთაშორისო კომისიის დასკვნით კიდევ ერთხელ წარმოჩნდა სააკაშვილის (როგორც მთავარსარდლის და პრეზიდენტის) უპასუხისმგებლო დანაშაულებრივი ქმედება, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტს მიაყენა უზარმაზარი დარტყმა. ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი ოკუპირებულია, 400-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, მიხეილ სააკაშვილმა უზრუნველყო რუსეთის ინტერესების განხორციელების შესაძლებლობა და გაურ-



კვიველი ვადით დააკვირდა კონფლიქტების მოგვარიას.

საკაშვილმა პასუხი უნდა აგოს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის დარღვევისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, დეზერტირობისა და საკუთარი მოსახლეობის განსაცდელში მიტოვების გამო.

ჩვენ 2007 წლიდან ვაყენებთ წინადადებას სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით და ვაყენებთ დღესაც, მიხეილ სააკაშვილს არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური, არც მორალური უფლება არა აქვს, მართოს ქვეყანა, განაცხადა, ბოლოს „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა.

მარი ძურასუაძიანი

ლეიბორისტები ისევ პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვენ

ტალიაინის კომისიის დოკუმენტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა თანხმდება, რომ დასკვნა ობიექტურია, მაგრამ ხელისუფლება ამბობს, დოკუმენტის მიხედვით ომი რუსეთმა დაიწყო, ოპოზიცია კი სანაღმდეგოს ამტკიცებს, თუმცა ამას დამტკიცება არ სჭირდება. ტალიაინის დოკუმენტის პირველივე პუნქტში წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო.

შესაბამისად, ლეიბორისტული პარტია პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით გამოვიდა, მის მიერ სახელმწიფოსა და მოქალაქეების წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. გუშინ ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა ბრიჯინგი გამართა და პრეზიდენტის გადადგომა და პასუხისმგებლობაში მიცემა ოფიციალურად მოითხოვა.

გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი: ჯერ კიდევ ტალიაინის

დასკვნამდე შევიტანეთ დოკუმენტი საკანონმდებლო ორგანოში, რომელშიც პრეზიდენტის გადადგომას, იმპიჩმენტს ვითხოვდით. მაშინ მას ხელი არავინ მოაწერა. ახლა კი საკმარისზე მეტი საბაზის არსებობს იმისთვის, რომ ქვეყანას ეს პირი — მიხეილ სააკაშვილი მოვაშოროთ, რომელმაც ამდენი ზარალი მიაყენა საქართველოს. კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ მხარი დაუჭიროს მის გადაყენებასა და პასუხისმგებლობაში მიცემას? მან გამიზნულად ჩაითრია საქართველო წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციაში და



ქვეყანა იზოლაციაში მოაქცია. ამჟამად ლეიბორისტების მიერ პარლამენტში შეტანილ დოკუმენტს მხოლოდ ხუთმა დეპუტატმა მოაწერა ხელი, გიორგი გუგავა იმედოვნებს, რომ მათი რიცხვი აუცილებლად გაიზრდება.

ანა წინილაშვილი

მის გლოვად რაგავს ზარი?

ნებამის ყბადადებული ტალიანის დასკვნა საკუთარი თვლით წამაიკითხა და მომვლა ბი-ბი-სი, ამერიკული, ინგლისური და სხვა ევროპული პრესა (რუსულზე აღარაფერს ვამბობ, ისედაც „იასნია“) იმას იჭაჭება, ამ დასკვნის მიხედვით ომი ქართველებმა დაიწყესო, ეს ჩვენი რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი კი მამალივით შეფერულია ტელეარხების ქანდაკაზე და სწორედ რომ ბიბლიური აუღლებლობით, პირდაპირ შესაშური დამაჯერებლობით დაგვყვივს დაფანჯრული წვერით, დოკუმენტში წამლადაც კი არ არის ნახსენები, რომ ჩვენ რაიმე შეხება გვაქვს პირველ გასროლებთანო.

მენტში ხანჯალივით იშიშვლებს ხოლმე ამ „გამარჯვებას“ პრეზიდენტი და პალატუხივით ჩამოკიდებული საველე ტრიუნფიდან ნაცარს გვყვრის თვალში. რუსეთს ხომ სულ უჭაპუნებს და უჭაპუნებს. აი, იმ დღესაც, ისე ოსტატურად მილაწდა, „რუსეთი“ პერსონალურად ერთხელაც არ უსენებია. ამ დიპლომატიურ და ორატორულ დიდოსტატობას საგანგებოდ, დიდი სიამაყით უსვამს ხაზს ქვეყნის ნაცხელმძღვანელობა.


ტომბრის გამოსვლა ახალ სიტყვად, სრულიად პლანეტური მნიშვნელობის მოვლენად ჩაიწერება ამ უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაციის მატინეში. საერთოდ, პრეზიდენტის სიტყვა მიმართული იყო კედლის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ. კედლის თემას მისი 25-წუთიანი გამოსვლის დიდი ნაწილი მიუძღვნა. კედელი ზოგადად დაყოფილი იყო ორ ქვე-

იმედისმოქმედ მშვიდი და სიტყვანაწილად. ჩვენ მშვიდობიანი ბრძოლით გავიმარჯვებთო, ეს იყო მისი მთავარი დამრტყმელი მიმართულება. იცოცხლეთ, მშვენიერი მიზანდასახულებაა, ოლონდ მშვიდობიანი ბრძოლით დადებითი შედეგი აქამდე რატომღაც მაინც დამაინც არ გამოგვიოდა, უფრო ხატოვნად, ჩვენი მშვიდობიანი ბრძოლის შემდეგ ქვა ქვაზე არ რჩება ხოლმე. საერთოდ, პრეზიდენტი ამერიკაში ერთობ თვინიერი ჩანდა. ის კი არა, ქართველთა სათვისტომოსთან შეხვედრისას თავის განირვასაც კი შეპირდა ხალხს: თუ საქმემ მოითხოვა, მზად ვარ მოსკოვში ჩავიდე და ის ადგილი ჩავაბარო, რომლით ჩამოკიდებასაც მიპირებნო.

დიდი მსხვერპლზეიროვის ჟამი

მბრტო იაკობაშვილი რომ გვიბამდეს თვალს, კიდევ რა გვიჭირს, მთელი „სამეფო ამალა“ ამით არის დაკავებული, თითქოს, ჩვენი მოსახლეობა თუ დააბოლეს, წამხდარ საქმეს ეშველება. ვიძახოთ ჰალვა-ჰალვაო და ყელი ჩავიკოკლოზინოთ! არადა, პატროსნად წერს იმ ქალბატონის კომისია, ომი ქართველებმა დაიწყო, მაგრამ რუსებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა სწორედ ქართველებს წამოენწყოთ და რუსებს გაეგრძელებინათო. ერთიც დამნაშავეა და მეორეც, ოლონდ სხვადასხვა ხარისხითო. ვითომ რატომ არის ეს დასკვნა დასამალი, მისაწუთებელი და საშიში „გამარჯვებული“ საქართველოს მოსახლეობისთვის? არის აზრი: ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალმა ნირი არ შეიცვალაო.

ჯარს „მასზე დაკისრებული მოვალეობის“ პირნათლად შესრულებისა და საქალაქციხის სრულად დაუფლებისთვის. რუსეთს თუნდაც მხოლოდ იმისთვის ეკუთვნის ცხვირპირის დანაყვა, ის წამიერი სიხარული რომ მოუხსო, სტალინით მადლობები ესადა სხვადასხვა სახეობის ნაწილებისთვის და გამარჯვების აღლუმშიც მიეღო იქვე, ძველამოსილად დაბრუნებულ ცხინვალში. ერთი სიტყვით, პირში ხვლიკის კუდი გამოავლეს — ხელიდან გამოაცალეს მხედართმთავრის კვერთხი. ჰოდა, ერთი წელიწადია ვატიერლოში დარეჯგვილი ჩვენი „შტატსკი“, ანუ „უულვაში“ გენერალი ტელე და მიტინგაუსტერლიცებში იბრაგუნებს მკერდზე მჯიღს (და ხალხსაც აბრაგუნებინებს), ეგეც მაგათ, რა ფეხები მოგვჭამესო. ერთი სიტყვით, გამარჯვებული მთავარსარდალი დამარცხებით მიღებულ მძიმე ჭრილობებს მარჯვედ იშუშებს ენით. ყველა საჭირო თუ არასაჭირო, დროულ თუ უდროო მ-



ტორულ დიდოსტატობას საგანგებოდ, დიდი სიამაყით უსვამს ხაზს ქვეყნის ნაცხელმძღვანელობა. ზუსტად ისე იყო, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არის, გვარს არ დავასახელებო“. არც დაუსახელებია. ამიტომ გაეროში პრეზიდენტი სააკაშვილის 2009 წლის 24 ოქ-

კედლად: ბერლინის კედლად და ევროპაში დღეს არსებულ ვირტუალურ კედლად. აქ, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმებოდა მესამე ქვეყნადელი — საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ამოშენებული. საერთოდ კი, კაცმა კარგი არ უნდა დაუკარგოს: იმ დღეს ჩვენი პრეზიდენტი გასახარად და

„ის ადგილი“ არ დაუკონკრეტებია, რუსეთის სახელობით დაუსახელებლობის მსგავსად, მაგრამ მიმხვედრი მიხვდა და მსხვერპლის სიდიადეც გაისიგრძეგანა: „იმ ადგილის“ შენარვა ნიშნავს ბატონ მიხეილის ყველაზე არსებითი, ყველაზე ძლიერი, ყველაზე მოაზროვნე ნაწილის ექსპროპრიაციას. ამაზე თვითონ მისი პატრონი რომ წავიდეს, ერი ვერ წავა, რადგან მაშინ ჩვენი პრეზიდენტისგან, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩება. ეს მით უფრო საშიშია, რომ ოპოზიციამ უკვე იკვებება ახალი გიგანტი, რომელიც თბილისის მერობით დაიწყებს და, როგორც ჩანს, უფრო სწორედ, როგორც მისი მერობის კანდიდატად წამომყენებლები ვარაუდობენ, ქვეყნის პრეზიდენტობით დაამთავრებს.

ალექსანდრე ალექსიძე

სამეგრელოს მხარე

პოლიტიკური სტაბილიზაცია ზუგდიდში

ამჟამად სამეგრელოს, კერძოდ ზუგდიდს პოლიტიკური სტაბილიზაციის ხანა უდგას. ასპარეზზე არ ჩანან ოპოზიციონერები, არც მმართველი პარტიის წარმომადგენლები. საქართველოში საკნები მხოლოდ ზუგდიდს შემორჩა. ხუთ თვეზე მეტია ხუთი საკანი ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში დგას და მასში „დაიცავი საქართველოს“ წევრები იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ აცივდა, აქციის ორგანიზატორი ვახა მიქაია და მისი თანამშრომლები საკნების აშლას არ აპირებენ. ვახა მიქაიას განცხადებით, ისინი არ შეუშინდებიან სიცივეს და შესაძლოა ზამთარშიც მოუწიოთ საკნებში ყოფნა. თუმცა, არც იმას გამოორიცხავენ, რომ დადგეს ისეთი მომენტი, საკნებიდან ოფისში გადაინაცვლონ, სადაც ამჟამად დღედაღამ იმყოფებიან წარმომადგენლები, რათა დიდი ბანერი — „დაიცავი საქართველო“ მოპარვისა და დახვევისგან გადარჩინონ.

ამ და პაატა დანელიამ. მიხეილ ქანთარია — ყოფილი ვიცე-გუბერნატორი საერთოდ წავიდა მოძრაობიდან. ხოლო პაატა დანელია — ზუგდიდის ყოფილი გამგებელი რჩება პარტიაში როგორც რიგითი წევრი. ამ თანამდებობების გამო მათ ხელისუფლებასთან მრავალჯერ მოუწიათ დაპირისპირება და ამიტომაც აირჩიეს „პოსტებიდან“ წასვლა. თანამდებობა დაატოვებინეს ასევე „ახალი მე-მარჯვენეების“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს თემურ არდიას. ეს გადაწყვეტილება კი თბილისში მიიღეს. ასე რომ, ზუგდიდში პოლიტიკური სტაბილიზაცია „მომდებობები“ ასარჩევად ყრია... ზუგდიდის ცენტრში ბინა დაიდო „ვეტერან მეომართა კავშირმა“, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ყოფილი „მთავარსარდალი“ ვახტანგ (ლოთი) ქობალია. ოფისის რემონტიც ინტენსიურად მიმდინარეობს... გავრცელებული ინფორმაციით ამ კავშირის უკან დგას მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ და მისი ლიდერი ზურაბ ნოღაიდოძე...



სამეგრელოს რესპუბლიკა

ინფორმაცია

გია საგარეოპოლიტიკური სააკაშვილსა და ბაქრაძეს საზოგადოების მოგზაუბაში ადანაშაულას



მეორე არხის პოლიტიკურ არხად ჩამოყალიბების თაობაზე გააფრერეს, „მკვდრადმოიბილი აღმოჩნდა“. მისი შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან მეორე არხის პოლიტიკურ არხად გარდასაქმნელად არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა.

დეპუტატი გია ცაგარეიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს საზოგადოების მოტყუებაში ადანაშაულებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ცაგარეიშვილმა განაცხადა, ინიციატივა, რომელიც პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ერთ კონკრეტულ ნაბიჯში ჩამოყალიბების თაობაზე გააფრერეს, „მკვდრადმოიბილი აღმოჩნდა“. მისი შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან მეორე არხის პოლიტიკურ არხად გარდასაქმნელად არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა. ამასთან, დეპუტატი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება არს არჩევნებამდე არ გარდაქმნის, რათა საზოგადოებამ ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ობიექტური ინფორმაცია არ მიიღოს.

ჟირინოვსკი მასკოში „ბიჭია“

რუსეთში თბილისის საპასუხოდ ევროსაბჭოში ქართული დედეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის ითხოვს. ამ წინადადებით რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი გამოდის. ჟირინოვსკი საკუთარი ინიციატივით პარლამენტის ქვედა პალატას 7 ოქტომბერს მიმართავს. მისი თქმით, ეს იქნება პასუხი საქართველოს მოქმედებებზე. რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი დადებითად აფასებს ევროსაბჭოს ასამბლეის გადაწყვეტილებას, რომელმაც მხარი არ დაუჭირა თბი-



ლისის ინიციატივას, რუსეთის დედეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის თაობაზე. „ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში დარწმუნდნენ, რომ აგრესორი საქართველოა“, — აცხადებს ჟირინოვსკი.

მევენახეთა საპროტესტო აქცია ქიროკოში

მევენახეების რაიონის სოფელ ქიროკოში მევენახეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. გლეხები შიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩასაბარებლად გურჯაანში ერთერთი ღვინის ქარხნის გახსნას მოითხოვენ. როგორც აქციის მონაწილეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, მართალია, გუშინწინ, ყვარელში, ახალსოფლის ღვინის ქარხანამ შიბრიდული ჯიშის ყურძნის მიღება დაიწყო, თუმცა იქამდე ყურძნის ტრანსპორტირება იმდენად ძვირი ჯდება, რომ მევენახეები ხარჯებს ვერ ანაზღაურებენ. მევენახეები მოითხოვენ, სახელმწიფო საწარმო - შპს „რთველი - 2008“, რომელმაც შიბრიდული ჯიშის ყურძნის ჩასაბარებლად თანხები გამოყო, ყურძენი გურჯაანშივე მიიღოს. აქციის მონაწილეები ისე დაიშალნენ, რომ ხელისუფლებიდან მათ არავინ შეხვდა.

დაზღვევის პროცედურები გასამართლებელი

სადაზღვევო კომპანიები დაზღვევის პროცედურების გამარტივების წინადადებით გამოდიან. როგორც ჟურნალისტებს სადაზღვევო ასოციაციის პრეზიდენტმა დევი ზეინაშვილმა განუცხადა, კომპანიებს დაზღვევულთან კონტრაქტის შეჩერების პროცედურის გამარტივება სურთ. მისი თქმით, კომპანიებს დაზღვეულ მოქალაქეებთან საკმაოდ გართულებული ურთიერთობა აქვთ, როცა დაზღვეული ყოველთვიურ პრემიას არ იხდის. ზეინაშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება პრემიას არ იხდის, სადაზღვევო კომპანია იძულებული ხდება მოქალაქეს დაახლოებით სამი თვის განმავლობაში სამედიცინო მომსახურება მაინც აუნაზღაუროს. წინადადების გაზიარების შემთხვევაში, ცვლილება „სამოქალაქო კოდექსში“ უნდა შევიდეს.

„ქაპრემსიუსი“ და 008-008-060

ოპოზიცია

თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო მატულობს ინტერესი, დაუპირისპირდებიან თუ არა ერთმანეთს ოპოზიციური კანდიდატები.

რას აპირებს ოპოზიცია და ბრძოლის გასაგრძელებლად რა ტაქტიკას აირჩევს? — ამ საკითხების გარკვევას საინფორმაციო სააგენტო „მედიანის“ „დაიკავი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერთან გიგა ხინდრაშვილთან შევეცადე.

ზია აქვს, ღმერთმა ხელი მოუშაროს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ იქნება.

— არჩევნების დანიშნვა კონსტიტუციით არის გათვალისწინებული?

— ამ ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ჩვენი გასაკუთრებული იქნება. ვისაც გვესმის, რომ მხოლოდ კომბალი და ქუჩა უშველის ამ ქვეყანას, რომ ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის გავწმინდოთ არე, როგორც არის ალიანსი ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნებში რეგულარულად მონაწილეობენ და ფიქრობენ, რომ ცივილიზებული ქვეყნის გზა, ეს არის არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა და სწორადაც ფიქრობენ. მაგრამ საქართველო არ არის ცივილიზებული ქვეყანა და საქართველოს სათავეში არ დგანან ის ძალები, რომლებთანაც ცივი-

ზური ექსპერტის განცხადებით, ის, რომ 9 აპრილის აქციებმა შედეგი არ გამოიქვლია, არასწორად არჩეული ტაქტიკის ბრალი იყო.

— ამ ექსპერტებს ექსპერტებად არ ვთვლი.

— ამ ფაქტს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ექსპერტებიც აღნიშნავენ.

— ექსპერტებთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მაქვს. ყველამ, ვინც სხვა ვერაფერი ნახა ამ ქვეყნად გასაკუთრებული და ვერსად თავისი თავის წარმოჩენა ვერ შეძლო, ექსპერტობა დაიბრალო. ექსპერტობა ძალიან სერიოზული საქმეა. ამიტომ ახლა, ვითომ ექსპერტი ვილატეები რას ლაპარაკობენ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. 2007 წლის სექტემბრიდან დანაშაულები დღემდე საზოგადოებრივი მოძრაობის შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ ბოროტმოქმედების

თან მოგვიწევდა დაპირისპირება, თურქულ ტაქტიკა სულ წახვანკირი იქნებოდა. თუ ვინმე თვლის, რომ საქართველოს საზოგადოების ეს ძალისხმევა იყო ფუჭი, ეს მის ექსპერტულ სინდისზე იყო.

— მაგრამ საზოგადოება გულგატეხილია, რადგან კონკრეტული შედეგი ვერ დაინახა. ფაქტია, რომ ქუჩაში ხალხი აღარ გამოდის.

— ამასაც ექსპერტები და პრესა ლაპარაკობს. საზოგადოება გულგატეხილი იქნება იმით, რომ ჯერჯერობით ისევე სააკაშვილია ხელისუფლების სათავეში.

— დახმარება, თქვენ რომელ კომბალიზე ლაპარაკობთ, ამას ხალხს ქუჩაში გამოსვლა და სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება. როგორ ფიქრობთ, ხალხი ქუჩაში ისევ გამოვა?

— თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ აქციების შემდეგ, როდესაც 100 ათასობით ადამიანი გამოდიოდა ქუჩაში, რამე სასიკეთო მოხდა? სააკაშვილმა რამე გააკეთა, რაც ამ ადამიანებს პრობლემებს მოუგვარებდა?

— მაგრამ ხალხი უშედეგობითაა რომ დაიღალა?

— ესეც მერაბიშვილის უწყების პროპაგანდაა, თითქოს ხალხი დაიღალა. როგორ შეიძლება ხალხი საკუთარი ქვეყნის, საკუთარი მომავლის და საკუთარი შვილების სიყვარულში დაიღალოს. ეს ასე არ არის. სხვა საქმეა, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი იმ სიმალეზე არ აღმოჩნდა, რა სიმალეზეა მისგან საზოგადოება ელოდა.

— ვის გულისხმობთ, შეგიძლიათ დააკონკრეტოთ? იმით ხომ არა, ვინც ხელისუფლებასთან შეხვედრებზე მივიდა?

— არა, ვერ დავაკონკრეტებ. ის აზრი, რომ საქართველოში ძალაუფლების შეცვლა ერთ დღეში, 100 ათასი კაცის შეგროვებით და სადღაც შევარდნით შეიძლება, მცდარია. ვფიქრობ, ბრძოლა გრძელდება.


— მომავალში ამ ბრძოლის გაგრძელებას რა ფორმით აპირებთ?

— რა ფორმითაც აქამდე ვიბრძოდით. ახალი ველოსიპედის გამოცვლა აქ, საქართველოში, არავინ აპირებს. საზოგადოებრივი ბრძოლის მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები არსებობს, რომელიც ამავდროულად, საერთაშორისო სამართლის წესით, აჯანყებასაც გულისხმობს. სააკაშვილის რეჟიმის მოსაცილებლად სხვა არანაირი მეთოდი არ იქნება შედეგიანი. ვნახოთ. დანარჩენს საზოგადოება გადანყვეტს.

— ბატონო გოგა, ფაქტია, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას უკვე რამდენიმე ოპოზიციური პარტია აპირებს...

— მხოლოდ და მხოლოდ ალიანსი, სხვა არავინ. საუბარი ერთია, მაგრამ მიიღებენ თუ არა მონაწილეობას, სხვა.

# გოგა ხინდრაშვილი: საქართველოს ხელისუფლებასთან ერთადერთი სალაპარაკო ენა კომბალია



საქართველოში შიდა პოლიტიკა არ არსებობს. საქართველოში არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბანდიტური დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება და არ აპირებს მასთან განშორებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი საზოგადოების ძალისხმევით და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, დარწმუნებული ვარ, ამ დაჯგუფებას დავძლევთ და მივუჩენთ იმ ადგილს, რომელიც მას ეკუთვნის. მისი ადგილი კი საკანშია.

— თქვენ რასაც ამბობთ, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია არჩევნების მოგება. უახლოეს მომავალში კი თვითმმართველობის არჩევნები მოდის. სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად, ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ხომ არ აპირებთ?

— არც თვითმმართველობის და არც სხვა არჩევნებს სააკაშვილი არ ჩაატარებს. ერთადერთი იარაღი და ერთადერთი არგუმენტი, რომელიც სააკაშვილისთვის არის გასაგები, ეს არის კომბალი. დარწმუნებული ვარ, სანამ ქართული საზოგადოება საერთაშორისო ნორმით მიღებულ წესს არ გამოიყენებს და კომბალით არ გაყრის სააკაშვილის ხელისუფლებას, მანამდე არანაირი ილუზია არჩევნებსა და სამართალზე, კონსტიტუციურობაზე არ უნდა გვექონდეს.

— ფაქტია, რომ არჩევნებში მონაწილეობის მსურველები უკვე გამოჩნდნენ. იგივე „ალიანსი საქართველოსთვის“ მონაწილეობის მიღებას გადანყვეტა და ალიანსიამ მერის თანამდებობაზეც წარადგინა თავისი კანდიდატურა. ამავე დროს, საზოგადოებაში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა მერის თანამდებობაზე ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს რამდენიმე კანდიდატი დაუპირისპირონ, ნაციონალები კი ერთ კანდიდატს წარადგენენ და შედეგად მივიღებთ იმას, რომ ნაციონალებს არჩევნების გაყვალბება არ დასჭირდებათ, ისე გაიმარჯვებენ. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე, მოსალოდნელია თუ არა ალიანსიას კანდიდატურას სხვა ოპოზიციონერი ლიდერები დაუპირისპირდნენ?

— ამას სოსო ცინცაძე ლაპარაკობს. უკვე რამდენიმე წელიწადია ეს კაცი სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის გული მოგებას ცდილობს, მაგრამ არ

გამოსდის, იმიტომ რომ ისიც იმ პლედის წარმომადგენელია, რომელიც სააკაშვილის მიერ არის ჩარეცხილი. მე ვფიქრობ, მისი დასკვნებიდან და ვარაუდებიდან არც ერთი არ გამართლდა, განსაკუთრებით ტალიაივის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით, ყველაფერს რასაც წერდა, აბსოლუტურად სანაიალმდეგო მოხ-

და. რაც შეეხება კანდიდატების სიმრავლეს, ეს არ არის ცუდი. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ბუნებრივად, მრავალფეროვნება სასურველია, რადგან საზოგადოებას არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს.

— მაგრამ ამ რეალობის გათვალისწინებით, არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატების სიმრავლე ხელისუფლების წისქვილზე ხომ არ მიუშვებს წყალს?

— ამ რეალობის გათვალისწინებით საერთოდ არჩევნებზე ლაპარაკი არ შეიძლება. არავითარი არჩევნები საქართველოში არ იქნება, ისევე როგორც არ იქნება მიღებული ლუსტრაციის კანონი. — იქნებ დააკონკრეტოთ, არ ჩატარდება არჩევნები თუ ოპოზიცია ამას არჩევნებად არ ცნობს?

— არჩევნები არ ჩატარდება, არა! იმიტომ, რომ დანიშნული არ არის და არც დაინიშნება. სააკაშვილი მერის ძალაუფლებას კი არა, დარაჯის ძალაუფლებას არ დათმობს. თუ ვინმეს ამაზე ილუ-

ზიზღი უნდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ იქნება.

— ბატონო გოგა, თქვენ რომ კომბალზე საუბრობთ, ფაქტია, რომ მან არ გაამართლა და არანაირი შედეგი არ გამოიქვლია.

— კომბალი ჯერჯერობით გამოყენებული არ ყოფილა.

— ანუ უფრო რადიკალური ქმედებების განხორციელების მომხრე ხართ?

— არა, კომბალი და წიხლი ერთ ადგილას.

— იქნებ დააკონკრეტოთ ეს კომბალი რას ნიშნავს?

— კომბალი ნიშნავს კომბალს, კომბლეს ზღაპარს. ხომ იცით, კომბლეს ცხვრები რომ დაეკარგა და ეძებდა, მერე ბოროტმოქმედებს კომბალი ერთ ადგილას რომ უთავაზა. აი, მაგ კომბალზე ლაპარაკი.

— ბატონო გოგა, მოდით განვლილი პერიოდზე შევაფასოთ. ძალიან

ჯგუფის, როგორც დემოკრატიის შუქურის მითი დაიმსხვრა, გარდა ამისა, პრაქტიკულად მან გამოამუფავნა ის, რომ ამ კრიმინალურ რეჟიმს ძალაუფლება ბუშის ადმინისტრაციის აბსოლუტურად უკანონო და ზღვარს გადამსლამა ქმედებამ შეუნარჩუნა.

მისი დახმარების გარეშე ეს სიყალბე და სიცრუე, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენს, საქართველოში გაბატონებას ვერ შეძლებდა. ამ მოძრაობის დანაშაულისას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სააკაშვილის უკან ბუში იდგა კომბლით. როდესაც 5 იანვრის არჩევნებში სააკაშვილი გაჩერდა და მისი დახმარება, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბუშის ადმინისტრაციის მიერ მოქმედი კომბალი მოგვცდებოდა. ალარაფერს ვლაპარაკობ 2008 წლის 21 მაისის მასობრივ სიყალბეზე, რომელიც ტეფტის, ბრაიზასი და მსგავსი ბნელეთის მოციქულების მიერ იყო გამყარებული. ამიტომ ბუნებრივად ჩვენ არ ველოდით, რომ ამერიკის ადმინისტრაციას-

პროვლეა



## მართლა ინგოგოა თუ არა „იმელი“?

„იმელის“ შენობის ირგვლივ სკანდალი გრძელდება, უფრო სწორად, განახლდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ტელეარხით გავიდა სიუჟეტი ინვესტორის მიერ შენობის უკანონო წგრევის შესახებ. დღესდღეობით „იმელი“ მიმდებარე ტერიტორიებით საინვესტიციო ჯგუფ „დიბას“ ეკუთვნის. მათ ეს ქონება წელიწადნახევრის წინათ შეიძინა მესაკუთრისგან. მაშინ ცნობილი არქიტექტორის შწუსევის აშენებულ ნაგებობას ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე ისტორიული ძეგლის სტატუსი უკვე მოხსნილი ჰქონდა. თავის დროზე მაშინდელმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და ასლანდელმა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ ეს ერთპიროვნულად გადანყვეტეს.

ისტორიული ძეგლის სტატუსის მოხსნის შემდეგ შენობა მალევე გაიყიდა. წლების წინათ დაშვებული შეცდომებისა და უსამართლობის გამო ასლანდელ ინვესტორს სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ „იმელის“ მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრევა და მხოლოდ გარე ფასადი შეუნარჩუნდებოდა. არქიტექტორები ირწმუნებიან, არსებული პროექტით სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა შენობის აღდგენა, რომ ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტი სიმართლეს არ შესაბამება, რადგან შენობის ის ფლიგელი, რომელიც კომპანიამ დაანგრია, ავარიული იყო და ისედაც ინგოგოა. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ინვესტორს ჯერ ქალაქის მერიისგან დემონტაჟის უფლება არ მიუღია, რაც თავისთავად კანონდარღვევაა. მერე რა, რომ ისტორიული და კულტურული ძეგლის სტატუსი მოეხსნა, ის ქალაქის იურსახის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია.

კომპანია „დიბას“ წარმომადგენელმა გიორგი სეთურიძემ სცადა, დაერწმუნებინა „კავკასიურ სახლში“ შეკრებილი ადამიანები, რომელთაც ამ შენობის ბედი ანუხებთ, რომ დღევანდელი პროექტი საბოლოო ვარიანტი არ არის და მასში მრავალი რამ შეიცვლება, უცვლელი დარჩება ნაგებობის იურსახე. აქ იქნება 300-ნომრიანი სასტუმრო და, შესაძლოა, კომერციული ფართებიც. ინვესტორებმა პირობა დადეს, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ დაინტერესებულ პირებთან, რათა თავიდან აიცილონ შემდგომი დაპირისპირება და გაუგებრობა.

ერთი კია, როდესაც მთავრობა თავს იწონებს, ბიზნესის კეთების მხრივ მსოფლიოში მე-11 ადგილზე ვართ, და ლამისამ ამ „წარმატებას“ ზედ გადაგვაცილონ, საქმის კეთების ნამდვილ მსურველებს სირთულეები არ უნდა ექმნებოდეთ და მათ არც კანონის დარღვევისკენ უბიძგებდნენ, თორემ... ძალიან მალე „მერსედის“ კაბრიოლეტიდან ისევ ურემში მოგვინევს გადაჯდომილი.

ბასულ წელს გამოქვეყნდა აკადემიკოს რიუნი მიტრიაშვილის მეცნიერულ-ისტორიული ნარკვევი, ყოველმხრივ შემკული ნიგონი „პატრიარქი, მისი სულიერი მამა“.

ავტორს მთლიანობაში აქვს აღქმული და შექმნილი საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბების ზოგადი ისტორია; კათოლიკოს-პატრიარქის უზენაესობის დაკანონების, ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის და მკვიდრების მრავალსაუკუნოვანი პროცესი, მის ფონზე კი გაშუქებული თანამედროვე საქართველოს ეკლესიის მდგრადობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ფრთხილ და ნაყოფიერი მოღვაწეობა, დიდი მამა-სახურება ქართველი ხალხის წინაშე.

გამორკვეული და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქრისტიანული წმინდა მოძღვრება საქართველოში თვით ძე ღმერთის ქრისტეს მოციქულებმა პირველ საუკუნეში გაავრცელეს და მოციქულთა სწორ წმინდა ნიწის ქადაგებითა შედგენილი იყო მეოთხე საუკუნის პირველ მესამედში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ჩამოყალიბდა ქრისტიანული ქართული ეკლესია, რომლის სულიერი წინამძღოლი მხარში ამოუდგინე ქართველთა მეფეს, საერო ხელისუფლებას და თანდათან მზარდ როლს ასრულებდნენ ქართველი ხალხის არა მარტო სულიერების და ზნეობრივი დონის ამაღლებაში, არამედ საქართველოს გამთლიანების, მისი დამოუკიდებლობის დაცვის საშუალებილ საქმეში.

მეფე ვახტანგ გორგასალმა არაფერი დაუთმო ცენტრიდანულ ძალებს. აღებული გეზი გააგრძელა, საეკლესიო რეფორმაც გაატარა. ქართველთა გვირგვინსანმა მმართველმა საქართველოში მოიწვია უცხოეთში ნაყოფიერი მოღვაწეობით ცნობილი ბერი პეტრე, რომელიც კათოლიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა. იმავე მეფე ვახტანგმა სახელგაბილი ეპისკოპოსების ადგილზე წმინდა მღვდელმთავრები გაამწესა. ახალი სასულიერო კათედრებიც შექმნა. ეპისკოპოსები ჩაუყენა სათავეში კლარჯეთის, არტაანის, ჯავახეთის, მანგლისის, რუსთავის, უჯარმის, სორნაბუჯის და სხვა ეპარქიებს. ყველა ეპისკოპოსი იერარქიულად დაექვემდებარა კათოლიკოსს. ამდენად მე-1 საუკუნიდან მოკიდებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია არის გამთლიანებული, საკათალიკოსო და ავტოკეფალური. სამღვდლოება გვერდში ამოუდგა სამეფო ხელისუფლებას, თანაზიარი გახდა წარმატება-გამარჯვების და წარუმატებლობა-მარცხისაც.

ქართველი სამღვდლოება, მისი მრევლი არც საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაზრებას შეგუებია და არც ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. მთელი საუკუნე იბრძოდა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ნიგონში ასახულია ამ გამათავისუფლებელი ომის ბოლო, გამარჯვებით დაგვირგვინებული ეტაპი. 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციას იმპერიის განაპირა ქვეყნებში მწვავე გამოძახილი მოჰყვა. 1917 წლის 12 მარტს ქართველმა სამღვდლოებამ სვეტიცხოვლის ტაძარში საზნეობით გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 8-17 სექტემბერს გამართა საეკლესიო კრება, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ავტოკეფალიისათვის თავდადებული მებრძოლი კირიონ მეორე. 1 ოქტომბერს აღსაყდრების მომენტში კირიონმა განაცხადა: „სამშობლო საყვარელო, ღვთისმშობლის ნილხდომილო, მუდამ შენსკენ ღლო დავილი, დღეს განვისვენებ ტკბილსა შინა ნილხსა შენსა. არა ვითარცა შვილი უძლები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა. ყური მომაპყარა მოველ რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა.“ (გვ.35-36)

როინ მტრეველი მართებულად წერს, რომ 1977 წლის 25 დეკემბერი ფრიად მნიშვნელოვანი თარიღია არა მარტო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში, არამედ საერთოდ ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დღეს მცხეთის სვეტიცხოვლის სა-

კათედრო ტაძარში საზნეობო ვითარებაში მოხდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმინდა ტახტზე ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, მაღალი განათლებით, კულტურითა და მრავალი მამული შვილური საქმის კეთებით გამორჩეული მოღვაწის ილია მეორის (შიოლაშვილის) აღსაყდრება. ამიერიდან კათოლიკოს-პატრიარქი იწოდება უწმინდესად და უნეტარესად.

აღსაყდრებისთანავე პატრიარქის მიერ დანიშნული რენესანსული მოღვაწეობა მე-20-21 საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო გაფართოვდა. უწმინდესისა და უნეტარესის ინიციატივითა და



### ზბრინაბი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პორტრეტის აღწერა

თაოსნობით 1981 წელს გამოქვეყნდა ეკლესიო კალენდარი პირადად მეც გამოიგზავნეს. საპატრიარქოს ბეჭდით დამოწმებული ეს ნიგონი რელიქვიის სახითაა გამოფენილი ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის თაროზე. კათოლიკოს-პატრიარქის მაღალი სულიერების, ამოუწურავი ენერჯის ნაყოფია საეკლესიო ყურნალები — „ჯვარი ვაზისა“, „საპატრიარქოს უწყებანი.“ ილია მეორის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით სტამბურად გამოიცა ძველი და ახალი აღქმის ნიგნები. დიდი სჯულის კანონი, მართლმადიდებლური კათეხიზმო, წმინდა მეფე დავითის ფსალმუნები, ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება და სხვა წმინდა ოსზულებანი. კათოლიკოს-პატრიარქის ღვთიური მაღლი გადასწვდა საერო ლიტერატურასაც. ილია მეორის ხელშეწყობით საგრძნობლად ამაღლდა ზოგადი ისტორიის დონე, ცალკეული მონოგრაფიებისა და კონკრეტული ნარკვევების ხარისხი. 1997 წელს ორ ტომად გამოქვეყნდა ილია მეორის ოსზულებანი, ეპისტოლენი, ქადაგებები და სიტყვები. ყველა მათგანში გამოსჭვივის „უმადლესი დონის ღვთისმეტყველებით, ბრძენი მამულიანული და ერზე შეყვარებული მღვდელმთავრის სულისკვეთება.“ (გვ 49-50)

ილია მეორის უშუალო თაოსნობით შეიქმნა საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილება, სასწავლო კომიტეტი, პრესცენტრი, ახალგაზრდული ცენტრი. უწმინდესი პატრიარქის დამსახურებაა, რომ ამოქმედდა საპატრიარქოს ტელევიზია „ივერია“, რომელიც თავის განაღვრებით გამორჩეული და ორიგინალურია, მსმენელ-მაყურებელში სიმშვიდეს, სულიერებას, სინამდეს და ზნეობის სამაგალითო ნორმებს თესავს.

1979 წელს ილია მეორე ჩაბრძანდა კონსტანტინოპოლში, ეწვია მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიების მღვდელმთავრებს აღიარებულ კონსტან-


ტინოპოლის პატრიარქს და მის წინაშე ოფიციალურად დააყენა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიის საყოველთაოდ აღიარების საკითხი, რასაც მასპინძელი გაგებითა და თანაგრძნობით შეხვდა. ქართული ეკლესიის უწმინდესმა წინამძღოლმა ამის შემდეგაც მთელი ათი წელი დაუღალავად იღვანა და დაარწმუნა ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქები, რომ თითქმის ორ ათასწლოვან ქართულ სამოციქულო ეკლესიას ყოველთვის საპატრიარქო ადგილი ევაება ქრისტიანულ სამყაროში და მე-20 საუკუნის მიწურულს უფლებამოსილი იყო, კვლავ თავისი კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა წამყვანი მართლმადიდებელი ქრისტიანული ქვეყნებისა და საპატრი-

არქოების წმინდა თანავარსკვლავედში (გვ. 52-53). 1990 წლის 23 იანვარს კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბით ცნობის საკითხი. იმავე წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დიმიტრიოს პირველმა სრულიად საქართველოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გადასცა საგანგებო სიტყვით, რომელიც ადასტურებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფლობას მე-1 საუკუნიდან, საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებას მე-11 საუკუნიდან და ამ ტრადიციის აღდგენა-გაგრძელების აუცილებლობას მე-20 საუკუნის მიწურულს, უკუნიტი უკუნიამდე. ამ აღიარებამ ილია მეორის ვითარცა დიდი მოღვაწის პორტრეტი შეავსო გაუხუნარი სამაგალიტი.

თანამედროვე საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტები გამრავლდა, მაგრამ რაოდენობრივ ზრდას თან არ ახლავს სწავლა-განათლების ხარისხობრივი ზრდა. ვერ ხერხდება ქრისტიანული რწმენისა და მეცნიერების მიღწევათა შეთანახმობა. ჩვენი პატრიარქის აზრით, სკოლებისა და უნივერსიტეტთა პროგრამებში მეტ-ნაკლები დროით უნდა შევიდეს ქრისტიანული ზნეობის, სასულიერო და მეცნიერულ-კულტურული ღირებულებათა მლიანობაში სწავლების მეთოდიცა, მისი რეალიზაციის ხერხები. საქართველოს ეკლესიის წმინდა პატრიარქს, ერის სულიერი მამა მიაჩნია, რომ მხოლოდ ემოციურზე დამყარებული ქმედება სიკეთეს ვერ მოგვითანს, ემოციებს გონება და სალი განსჯა უნდა აკონტროლებდეს. ადამიანი ჩვენი პლანეტის ერთადერთი მოაზროვნე სუბიექტია. აზროვნების უნარის სრულყოფისათვის უნდა გამოვიყენოთ, პატრიარქის აზრით, ღვთისმეტყველება, ლოგოსი, ისტორიისა და ფილოსოფიის მონაპოვარი. ამგვარი ამოცანა დააკისრა პატრიარქმა 1988 წელს დაარსებულ თბილისის სასულიერო აკადემიას და 1995 წელს დაფუძნებულ კელათის მეცნიერებათა აკადემიასაც. ქართველი ერის სულიერი მამის სახელთანაა დაკავშირებული მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ერთი მხრივ სამოციქულო ეკლესიას და მეორე მხრივ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, უმაღლესი სასწავლებლებს, სხვა სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებს შორის.

წმინდა პატრიარქი მთელი ქართველი ხალხისათვის ლოცულობს, ქართველი ერის ცდომილება-შეცდომებათა შენდობას ევედრება მაღალ ღმერთს. „სულის შემქმნელად შთამბეჭდავია უწმინდესის მიერ შესრულებული ლოცვა სინას მთაზე.“ (ზღვის დონიდან 2300 მეტრზე), რომელზეც იგი ფეხშიშველა ავიდა, ოთხი ათასი მაღალი საფეხური აიარა და მაღალ ღმერთს შეჰლაღადა: „მამაო სახიერო, გვედრებე სახელითა მისა შენისათა, ნუ განემორბევი ერსა ჩვენსა შეცოდებათა გამო ჩვენსა; მოგვიძინე ვითარცა მამაი მოძიებეს ძესა თვისსა წარწყმედილსა; შეგვიდგე უწმინდესიანი, გულფიცხოზი, ამპარტყანებაი, შური და ვერცხლის მოყვარეობაი; გეაჯვებით აღმოცენ ცოლვანი ჩვენი და განკურნენ სულნი ჩვენი ვნებულნი; მოგვმადლე სარწმუნოებაი ჭეშმარიტი,

კონკრეტული ქმედებანი ცხადყოფს, რომ უწმინდესი ხალხის ინტერესთა დამცველია, ურწუნ წინამძღოლია. მისი სულიერი მეთაურობა 1989 წლის 9 აპრილს მშობლიურ ქვეყნში ედგა, ხალხს ამწვრო მოახლოებული საფრთხე და მოუწვია თავი შეეფარებინათ ქაშუეთის ტაძარში. 1991 წლის დეკემბრის მიწურულს პატრიარქი ყველაფერს აკეთებდა მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბანაკების შეთანხმებისა და შინა ომის აღკვეთისათვის. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უაღრესად დადებით როლს ასრულებს საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების, დაძაბული სიტუაციების განმუხტვის სფეროში. 2007 წლის 4 მარტს ილია მეორე გულთბილად მიესალმა რუს თანამორწმუნებს, კოლეგებს და აღნიშნა: უფალმა ინება, რომ გვემოღვაწა ორი საუკუნისა და ორი ათასწლოვლის მიჯნაზე, მეტისმეტად რთულ ეპოქაში. მიმდინარეობს სახიფათო პროცესები; გვემუქრება საუკუნეთა სიგრძეზე ჩვენი წინაპრებისაგან შექმნილი „დაუნჯებული ეროვნულ-კულტურული, სამეცნიერო და სხვა ფასეულობათა დაკარგვის საფრთხე. რუსეთისა და საქართველოს ეკლესია ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ადამიანებმა გაარჩიონ ავი და კარგი. მთავარია არ დავკარგოთ ღვთის მაღლი. ქართველი ერის სულიერმა მამამ ამ დიალოგის დროს ხაზი იმას გაუსვა, რომ „ზოგიერთს სურს გადასინჯოს კავკასიის საზღვრები. ეს ძალიან სახიფათოა, სისხლის მღვრელი ომის მომასწავებელია.“ იმედად ის მიიჩნია, რომ რუსი პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, რუსეთის ეკლესია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. რუსული ეკლესიის წინამძღოლთა ასეთი პოზიცია, ილია მეორის აზრით, ხსნის იმ დაძაბულობას, რომელიც ჩნდება ამ ორ სახელმწიფოს შორის. თქვენი ვიზიტი არის უწმინდესი მოღვაწისაგან სანყისი ამ დღობის აღსადგენად, რადგან იგი სცილდება ეკლესიათაშორისი ურთიერთობის ფარგლებს, იქნეს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ შინაარსს.



აღიან მისტრიაშვილი  
**პატრიარქი**  
ერის სულიერი მამა

სიყვარული უძლეველი, ძალი წყლისა და ძლიერება ცეცხლისა, აღგავესე მაღლითა ყოვლადწმიდისა სამებისა; სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა განამტკიცე მთავრობა ჩვენი; გვაკურთხე მშვიდობითა. უფალო მოგვიცენე სული ქართველთა, თავმდაბლობისა და მოთმინებისა. განამრავლენე შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, ... გვედრებე უფალო, გაუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვანი მათი საკეთილად ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერისისა.“ (გვ.77)

წმინდა მთაზე მამაღმერთის წინაშე წარმოთქმული ქართველთა პატრიარქის ლოცვა-ვედრება მართლაც ეპისტოლარული მჭიდრომეტყველებითი ხელოვნების ბრწინვალე იმეშუა (გვ. 77). მაგრამ მთავარი ისაა, რომ პატრიარქის ეს ღაღადი, მისი ყოველი სიტყვა მრევლის სულსა და გონებაში ჯდება, ქართველი ერის ყოველი სოციალური ფენის ზნეობრივ-მორალურად დახვეწას და მათი პასუხისმგებლობის ამაღლების საშუალებილ საქმეს ემსახურება. პატრიარქის მთელი მოღვაწეობა,

ფარგლებს, იქნეს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ შინაარსს. ამგვარად, როინ მეტრეველმა შექმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თითქმის სრულყოფილი პორტრეტი. მკითხველს საზოგადოებას, მრევლს აუწყა, რომ ილია მეორემ დაუღალავი მოღვაწეობით შესწლო ერისა და ეკლესიის გაერთიანება. კომუნისტური ათეისტებისაგან დატერორებული საზოგადოება კვლავ შემოაბრუნა ქრისტიანული რწმენისაკენ. ამასთან, წინა პლანზე წამოსწია ქრისტიანული მოძღვრების შემეცნებითი მხარე, ცხადყოფს, რომ ეს მხოლოდ რწმენა როდია, მეცნიერული ცოდნაცა. ავტორმა შედარებით-ისტორიული მეთოდის, მისგან გამომდინარე პრინციპების საფუძველზე განსაზღვრა ჩვენი ბრძენი პატრიარქის ისტორიული ადგილი: „თუ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია, ვნის, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავგამოდებული მებრძოლი; მე-20 საუკუნის პირველ ორმოცწლეულში იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ერს თავდადებული მეცნიერული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი უჩვენა; გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში არის პიროვნება, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის გზა. პიროვნება, რომელსაც არ აზნებდა ტვირთის სიმძიმე, იმედად მოვევლინა ერს. ძალისხმევას არ იშურებს ხალხის სამსახურში, სიკეთესა და სიბოძის ასხივებს ადამიანთა გულებს, სულიერებასთან შერწყმულ სიბრძნეს ადამიანთა გონებას.“ (გვ. 78).

აღიან მისტრიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტი.

ოთარ  
ჭილაძის

# დიდი მწერალი და ერისკაცი, რომელმაც

ბარდასვალი  
გზა

მთაწმინდა ქართულმა მწერლობამ, კულტურამ და ხელოვნებამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა მთაწმინდოეობის დიდი ქართველი მწერალი და ერისკაცი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ოთარ ჭილაძე**.

საქართველომ დაკარგა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომლის ელვარე, მრავალნახნაგოვანი და მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა უკვე ქართული ხალხის სულიერ საგანძურში დაიდებს ბინას და ქართული ნიჭის ერთ უმშვენიერეს გამოხატულებად აღიქმება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ქვეყანაში.

## გამოთხოვება

ოთარ ჭილაძის პოეზია, პროზა, დრამატურგია კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია იმისა, რომ დიდი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურის შესაქმნელად სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც, დიდი, რიცხვმრავალი ერის შთამომავალი იყო.

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრება ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე. რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა. ოთარ ჭილაძე მთელი არსებით გრძნობდა, რომ ღვთისმშობლის წილხვედომილი მისი სათაყვანებელი სამშობლო საოცრად ჰგავდა წმიდა მარიამის ერთადერთ ძეს — იესო ქრისტეს და მასავით მარადიულად ჯვარზე იყო გაკრული, ოთარ ჭილაძე ჭეშმარიტი ჭირისუფლის დარად საღებუნად ედებოდა მის სისხლმდინარე ჭრილობებს და თავის სწორუპოვარ შემოქმედებაში სწორედ იმ გზებსა და საშუალებებს ეძებდა, რომლებიც ისტორიის ანალებში ჩაკარგვისაგან გადაარჩენდა მის სათაყვანებელ მამულს.

ჭეშმარიტი არისტოკრატი გახლდათ, სულიერ კეთილშობილებას ასხივებდა მისი დაღლილი, შევერცხლილი სახე. დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე გახლდათ და სწორედაც რომ ღირსეულად მიებარება ყველა ჩვენგანისთვის სათაყვანებელ მთაწმინდის საკანეს.

ჩვენ კი სამახსოვროდ თავის უმშვენიერეს შემოქმედებით მემკვიდრეობას გვიტოვებს, გვიტოვებს, როგორც განძსა და, უპირველეს ყოვლისა, როგორც გაფრთხილებას, რომ არავის არ დავანებოთ საჯიჯგნად საქართველო — ამაყი, ქედუხრელი, ერთან და ბერთან მართალი ქართველების საუფლო.

ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი უღამაზესი სული.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ოთარ ჭილაძე

## და არა წუთისოფლის სტუმარი

მავშვობა ერთი ზოლოა თოვის და თვითონ უნდა მიაბა იგი მიწას, რომელზეც გინდა რომ მოკვდე, როდესაც მოვა სიკვდილის რიგი.

საქმე ისაა, როგორ მიაბამ, როგორ გამოთვლი გასაღებელ მანძილს, რომ არ შეფასდეს მერე იაფად შენივე ხელით შეკრული კვანძი.

როგორ მივაბი, არ მახსოვს კარგად, მაგრამ ის თოვი გრძელდება დღემდე და ჯერ არაფრის იმედს ან კარგავს, ამდენი ქარის და წვიმის შემდეგ.

ამდენი ქარის და წვიმის შემდეგ, თავისით გაქნა მევნი სურვილი,

მევწერ შევასკვი გულსა და კედლებს, უმისამართოდ ნასროლ ჭურვივით.

სამაგიეროდ, მეც განმიცდია, რასაც განიცდის ყველა მოკვდავი, როცა შემოდს სულში მიწა — ყველაფრის ცოდნე და საცოდავი.


და ვიცი, რატომ უნდა მიყვარდეს ჩემი მტანჯველი და ძნელი გზები, რომლებიც ალბათ იქ მიმიყვანენ, სადაც ჩემამდე მისულან სხვემიც.

მაგრამ თუ მეყო დროც და მანძილიც და მოვენახე სულს სასთუმალი — მოკვდე, როგორც ქვეყნის ნაწილი და არა — წუთისოფლის სტუმარი.

1963



ქვემოთ — ოთარ და თამაზ ჭილაძეები



2007 წ.

## უნ არსად წასულხარ, აქ იქნები

ძმარო ოთარ! შენი სიცოცხლე ქართული სულიერების განუყოფელი და უკეთილშობილესი ნაწილია.

ქართველი ერი მხოლოდ შენ კი არ მიგაცილებს, არამედ ჩვენი ლექსისა და პროზის საყრდენს ეთხოვება.

შენ არსად წასულხარ, აქ იქნები, სანამ შენს სამშობლოში ქართულად კითხვა ეცო-

დინება ვინმეს და ჭეშმარიტი ლიტერატურისადმი ინტერესი იქნება უცხოეთში.

მშვიდობით, ძმარო! შენი ნიჭის, მამულიშვილობის ნამდვილი ფასის უცდომლად დამფასებელი თვალცრემლით გმორდება —

ჭაბუა ამირაჯიბი

თბილისი, 01.10.2009

## დიდი მანსტრო

მასსოვს სტუდენტობის წლები, ოთარ ჭილაძის ლექსებით სავსე ღამეები, ხელიდან-ხელში გადასული რომანები და ნატურა, ნეტავ, ბატონ ოთართან მასაუბრა-მეთქი. ეს თრთოლვა და მოკრძალება მთელი ცხოვრება თან მდევდა, ახლაც როცა გამოსახოვარ სიტყვას ვწერ, იგივე განცდა დამეუფლა, თითქოს სიტყვებს ძალა დაუკარგავს და ერთადერთი ფრაზა ათასჯერ მეორდება ჩემს არსებაში „დიდი მანსტრო“.

მალე ყვავილების მდინარე კუბოს ცისკენ

წაიღებს, მთაწმინდა საკინძეს გადაიხსნის და დიდებულ შვილს მიეგებება, კვლავ აკვნისდება სამების ზარები და ისევ გაგახსენდება ადამიანს გალაკტიონის სიტყვები ილიას სიკვდილზე თქმული: — მაშინ ეპოქა გათავდა და დიდო.

დიას, კვლავ ერთი დიდი ეპოქა გათავდა ქართულ მწერლობაში. XX საუკუნის უდიდესი მწერალი ეთხოვება საქართველოს.

მაჩვალა გონაშვილი.

## გადლოვით, მშვიდობით...

ამ ბოლო თვეებში მწუხარება გედავოთვალეში.

ალარაფერი გიხაროდა. მწერალთა კავშირში ახალი ლექსები გამოგიგზავნე.

ათასი მადლობა მოგახსენე. პირველ გვერდზე დავეჭდე და ერთი სტროფი ამეკვიატა. ტელეფონში ზეპირად გითხარი:

„გაუფერულდა, ჩაბარდა წარსულს, რითაც დროს ვკლავდი, ან თავს ვირთობდი,

მე კი სხვაგვარი ცხოვრება არ მსურს;

კარგად იყავით, გამადლობთ, მშვიდობით...“

ზეპირად რამ დაგამახსოვრავო, მართლაც ასე არ არისო? კითხვა შემომიბრუნე.

ეს რამ დაგანერინა, ეპიტაფიასავით ჟღერს-მეთქი, ცრემლი ყელში მანვებოდა.

შენ ყველა ჩვენგანის ტკივილი გამოთქვი ამ ლექსით.

მე ვინ მკითხავს, თორემ შენს საფლავს მთაწმინდაზე ამ სიტყვებს დავანერდი: მშვიდობით, ოთარ!

რევაზ მიშველაძე.

# თავის თავში ღმერთიც შეიცნო და ეს ქვეყანაც

## ღებენდარული ოსტატი


არა და არ დაუმთავრდა მთანმინდას „საუკუნის სამკალი“. ქართულ მწერლობას კვლავ სტოვებენ მისი უპირველესი მესტიყვეები, ლექსისა და პროზის დიდოსტატები, რომლებმაც საკუთარი უბადლო ნიჭის წყალობით შორს გასტყორცნეს ჩვენი ქვეყნის სახელ-დედა. მოულოდნელი და თავზარდამცემია იმის შეგნება, რომ შეწყდა გულისცემა მწერლისა, რომლის ნებისმიერი ნაწარმოების გამოჩენას ამ ბოლო ნახევარი საუკუნის განძილზე მკითხველი გულისფანცქალით ელოდა. მისი სახელი და გვარი — **ოთარ ჭილაძე** — რაღაცნაირი მაგიური შარავანდედით იყო მოსილი და აპრიორულად გულისხმობდა სიახლეს, სიღრმეს, თავისთავადობას, აზრისა და სახეობრიობის უნიკალურ სინთეზს. ალბათ, არავის ჰყოლია ჩვენს ლიტერატურაში იმდენი მიმბაძველიცა და შევირდიც, რამდენიც მას ჰყავდა. ოთარ ჭილაძე იყო პროფესიული უნივერსალიზმის ეტალონი, შემოქმედი, რომელმაც შესძლო სეფე-სიტყვა ეთქვა პოეზიაშიც, რომანისტიკაშიც, მხატვრულ თარგმანშიც.

იგი ასევე უსათუოდ იყო ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ბრენდი, საერთაშორისო სარბიელზე მისი ღირსეულად წარმოჩენი. რომელ უცხოელ მწერალთანაც არ მქონია შეხვედრა, მათი პირველი შეკითხვა იყო: „ოთარ ჭილაძეს თუ იცნობთ?“ და მეც უსაზღვროდ მეამაყებოდა, რომ ვიცნობდი ამ მართლაც ლეგენდარულ ოსტატს, რომელსაც ხელი პირველად ორმოცი წლის წინათ ჩამოვართვი ქართული მწერლობის დეკადაზე კიევში. მას შემდეგ არა ერთხელ მისაუბრია მასთან და ყოველთვის დამნაწილა, რომ ის საუბრები მეტწილად ხანმოკლე იყო. დარწმუნებული ვარ, ოთარ ჭილაძის შემოქმედებას ევროპაში დაინტერესებული ქომაგი რომ ჰყოლოდა, დღეს საქართველოს მისი სახით ნობელის პრემიის ლაურეატი ეყოლებოდა. ასეთი მწერლის მხარდასაჭერად იბრძვიან სახელმწიფოთა მეთაურები, სპეციალურად ეძებენ და პოულობენ მათთვის შესაბამის ლობისტებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის მსგავსი ძალისხმევა უცხოა. თუმცა ოთარ ჭილაძისთვის მთავარი ჯილდო ის სიყვარული და პატივისცემაა, რომელიც მან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოიხვეჭა. უკვდავების გზაზე შემდგარი ოთარ ჭილაძე თავის საყვარელ სამშობლოს უტოვებს გაუხუნარ საგანძურს, რომელზეც თაობები აღიზრდებიან. ვნახვარ და ვნახობ, რომ ურიცხვ თავყანისმცემელთან ერთად უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილებ საყვარელ მწერალს, რომლის ამქვეყნად არსებობა ჩემთვის დიდი იმედი და ნუგეში იყო, ისევე, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის, ვინც იცის გენიოსი თანამედროვის ყადრი. მინდა გულითადი სამძიმარი ვუთხრა ბატონი ოთარის ოჯახს, მის ნათესავებსა და ახლობლებს. ჩემი წრეწერი თანაგრძნობა ბატონ თამაზს, რომლის უსაზღვრო მწუხარებას, რა თქმა უნდა, ვერავითარი თანაგრძნობა ვერ გაანელებს.

## მწამს, საქართველო აღარ მოკვდება

„სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავი აუღებელი ციხე-სიმაგრეა მტრისათვის. სამშობლოს მიწა გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვეები“.

ოთარ ჭილაძე



**რას უკვამს, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლაგვიანი**

## „მე კი სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან“ ...

„სიკვდილი მოვა ადრე თუ გვიან“. და მოვიდა მწერლის სიმარტოვეში — „ლამაზი და უჩუპარი“... და მისი სული, როგორც ჩიტი, სევდის ნათელში შეიფარა...

„და როგორ მოხდა ახლაც არ ვიცი: ცრემლი ყვავილად გადაქცეული მიგროვდებოდა სულში თავისით. მე ასე უნდა მეცხოვრა თითქოს უნდა მეზიდა სულით ყინული“... ათოვდა თუ აწვიმდა, მზითა და ქართვით გარემოცულს, დამალული სენით თუ სევდასავით ტანჯავდა რაღაც... ძილშიც კი გრძნობდა, როგორ ფეთქავდა სარკმელში ტოტი, ხოლო ანაწურთან, შემოდგომაზე მუხის ფოთოლი კანრავდა სულს:

ლაფრის განცდას ცდილობდა, უსასრულო ფიქრში გართული: გადაიჭანა ბევრი ანისი, ბევრი დმანისი, ბევრი კრწანისი... „ის ღამით ფერხით ეჯდა ქვეყანას და წიგნებს წერდა ქვეყნის კარნახით...“

„მე კი მარტო ვარ, ძალიან მარტო და თავთან მიდგას წყალი და წიგნი“... თავგზას უბნევდა თეთრი ფურცელი, ეძებდა სიტყვებს, და თითქოს მხოლოდ ამ სიტყვებს ძალუდდათ უსაზღვრო ტანჯვის დატევა... „რკინის საწოლზე იწვა პოეტი, რკინაზე ედო სული მღელვარე“, და როცა ქალაქს ეძინა, ღიმილი და ცრემლის წვეთი სულს უბრუნებდა, ფურცლები კი სუნთქვას იწყებდნენ...

„ხოლო ფოთოლი სისხლის წვეთივით მეცემა გულზე... და გულით მიმაქვს, როგორც ბრძოლაში გამდნარი დროშა“... ტკივილს სწირავდა ყველაფერს... — მთვარე გაზრდილიყო სევდით და ცრემლით, ბევრჯერ წაექცა სხეული, მაგრამ „სული, დროშად ქცეული“ არ წაქცეულა... ჯიუტად ეძებდა მარადისობის კვალსა და მიზნებს, თვალებით კი დაჰქონდა მუდამ მშვიდი და ამოუხსნელი — სამშობლოს სევდა:

„მზის შვილები ვართ. მზით მორთულები, მზედ უნდა ვიქცეთ...“ ამ რწმენით იცხოვრა. ქვეყანა ბრუნავდა — დიდი და საკვირველი. იცოდა, რისთვის შორდებოდა ამ ცას და მიწას, ამ დღეს და ღამეს... ლექსი და ცრემლი, ყვავილად გადაქცეული მიჰქონდა დიდ გზაზე...




„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს. არა სხეულის, არამედ სულის საქურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავის სუფლებას, მონაა ისიც“... „ის იდგა გზაზე, დიდი და მშვიდი“, ამ ქვეყანაზე რაც არსებობდა, ყვე-

ლაფრის განცდას ცდილობდა, უსასრულო ფიქრში გართული: გადაიჭანა ბევრი ანისი, ბევრი დმანისი, ბევრი კრწანისი... „ის ღამით ფერხით ეჯდა ქვეყანას და წიგნებს წერდა ქვეყნის კარნახით...“ ათასჯერ დამეხილს გულიდა დარჩენოდა ძველი, „ტანსუფუთული მშობელი მიწით“ მაინც ამბობდა: „მე კი სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან!“... „მზის შვილები ვართ. მზით მორთულები, მზედ უნდა ვიქცეთ...“ ამ რწმენით იცხოვრა. ქვეყანა ბრუნავდა — დიდი და საკვირველი. იცოდა, რისთვის შორდებოდა ამ ცას და მიწას, ამ დღეს და ღამეს... ლექსი და ცრემლი, ყვავილად გადაქცეული მიჰქონდა დიდ გზაზე... „დავრჩები ჩემი ლექსის ამარა, თავისუფალი და ცარიელი, როს გაიხსნება ჩემ წინ სამარე ღრმა და პირქუში, ვით დარიალი“... და გაიხსნა სამარე, არა პირქუში, არამედ როგორც ცის სარკმელი. „ასე ჩიტები კვდებიან მხოლოდ“... გული დენთის კასრივით დარჩა თბილისში, სავსე იმ დიდი გრძნობით, რომელსაც „ვერ კლავს ყულღო და ტყვია“... დარჩა შენს ურუქში — ღამაზე ქალაქში, იმედივით ნათელ მდინარეში, ცისა და ქვეყნის ოცნებით სავსე... „მოკვდები — როგორც ქვეყნის ნაწილი და არა — ნუთისოფლის სტუმარი“... შენ ახლა ქვეყნის ნაწილი ხარ... და სული შენი უსასრულოდ მიიწევს მალა, და არის ასე, ვით ნათელი — ყველგან და არსად!

გარდაიცვალა დიდი მწერალი, პოეტი და მოქალაქე ბატონი ოთარ ჭილაძე. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით თანაგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს, სინანულით ეთხოვება ჭეშმარიტ მამულიშვილს, რომელიც გამოაკლდა არა მარტო ქართულ მწერლობას, არამედ მთელ საქართველოს, რომელ-

საც ასე სჭირდება კრისტალური გრძნობების სამშობლოზე მოფიქრალი ადამიანი. ეთხოვება ადამიანს, რომელმაც მსოფლიოს მწერალთა სამყაროში თავისეული სიტყვა თქვა. ბატონი ოთარი რჩეულთა შორის გამოჩენილი გახლდათ.



თაბარ შაიზაფალოვილი

სადაც სამშობლოს გულისცემაა, ნაღდი პოეტის გულიც იქ არის. რა კარგად ბრძანეთ, ოთარ ბატონო, ჩვენი სათქმელი და საფიქრალი.

თუკი სამშობლოს მართლა ვერ ვუვლით და მის მომავალს გულგრილად ვუმზერთ, ფეხქვეშ სამშობლოს ქვეები კი არა, ის ქვეები უნდა გვეყაროს გულზე.

თუ მამულს მართლა ვეღარ ვპატირობთ, მტრების სათრევად, საჯიჯგნად იქცა, ჯობია მართლა გულზე გვეყაროს გადათელილი სამშობლოს მიწა.

მაგრამ მე მჯერა, ნაღდი ქართველი სამშობლო-მიწის არდამთმობია, ამაზე უთქვამთ ჩვენს დიდ წინაპრებს, — ცოცხლად მკვდარს კარგი მკვდარი ჯობია.

დგება დრო-ჟამი, როცა მამული ყველას თავის წილს და ხვედრს მიაგებს, როცა ვაჟკაცის საფლავი მიწა ხდება სამშობლოს ციხესიმაგრე.

იცის სამშობლოს ძალიან კარგად, რაა ქვეყნისთვის თავის დადება, იცის, ვაჟკაცის სიცოცხლე ქვეყნად სიკვდილთან ერთად აღარ თავდება.

თუკი დასჭირდა ხალხს და ქვეყანას, ისევე ცოცხლების გვერდით დადგება ისეთ სიცოცხლეს ჰქვია სიცოცხლე, სიკვდილის შემდეგ რომ იხადება.

რადგან ხალხსა და მამულს ეკუთვნის ჩვენი გული და ჩვენი გონება, არ გაგვაჩნია ქვეყნად ქართველებს საქართველოზე დიდი ქონება.

ქვეყნის სათქმელი და საფიქრალი რა კარგად ბრძანეთ, ოთარ ბატონო, მწამს, საქართველო აღარ მოკვდება, სანამ ქართული ენა პატირონობს.

ნოდარ ჯალაღონია  
დეკემბერი, 2008 წ.

**ოთარ ჭილაძის დამკრძალავი კომისიისგან**

დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის სა-მოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 3 ოქტომბერს 16 საათზე განსვენებულის ბინაზე (დ. აღმაშენებლის 181).

გამოსვენება 4 ოქტომბერს 15 საათზე სამების სა-კათედრო ტაძრში.

მწერალი დაიკრძალა მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანაწერი №153

საფრანგეთის ელჩი საქართველოში არიკ ფურნიე „დიუმას ცენტრში“ ზუსტი მისამართით და ამავე დროს განზოგადებულად საუბრობდა. მან საზოგადოებას წარუდგინა საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი მეცნიერი და მწერალი ბასტონ ბუაჩი და აღნიშნა, რომ დღეს შეხვედრას იმ ადამიანთან, რომელიც თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით მსოფლიოს აცნობს საქართველოს ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ხოლო რაც შეე-

— არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგიტ დადის და მე რა ღმერთი გამიწყნება, რომ დამიშავდეს რამე.  
— მაგიტ დადის? იმიტომაც შორს არის წასული... ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მოგცეთ. მე კი სწორედ ვითხნათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგამი ჩემქვადარეყვი... მშვიდობით! თუ შეხვედრებით ერთმანეთს კიდევ როდესმე, გთხოვთ მიცნობდეთ!  
ამ სიტყვებზედ გამომიწოდა ხე-

— რა არის მასში აქტუალური? „ფიქრობ, იგი პასუხს სცემს თანამედროვე პრობლემებსაც, გვიჩვენებს მისივე დასახული გზის სისწორეს. ილიას გზავნილი გონივრული მიდგომაა მოვლენებისადმი, ის თვალეშში უყურებს სიძნელეებს და ძალიან ძვირფასს რჩევას გვაძლევს, რომ შენი თავი შენ უნდა გეყუდოდეს, შენი გასაკეთებელი შენვე უნდა გააკეთო, სხვა ვერ გიშველის...“ ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოფად... არ არსებობს ფაქტუალური. გადაადგე შიში ფაქტუალის წინაშე და უპირატესობა მიეცი მოქმედებას.  
ილიასთან ასევე ძალიან აქტუალურია „სიმართლის თქმის“ თემა, ვინაიდან დღეს ყველაზე ძნელი „სიმართლის“ მოსმენა გახდა. ასევე პასუხგაუცემელია ილიას დასმული კითხვა: ვის უნდა ენდო?...  
„თავისუფლება, ძმობა, ერთობა“ — საფრანგეთისთვის სამი ძირითადი პოსტულატია, რასაც შინაარსობრივად ეხმა-

ვიდულობას. ქალაქი ნანტი, სადაც მე ვცხოვრობ, არის სამხრეთ ბრეტანი. იქ არსებობს ადგილობრივი, ბრეტანული ენა და ვისაც სურს, ლაპარაკობს ბრეტანულად. ჩემთვის ახალი ევროპა იწყება იქ, სადაც მთავრდება ომი და ძალადობა. მოგესვენებათ, ყველაზე ძნელი ასატანი ცხოვრებაში მეზობელია — იმიტომ რომ მუდამ ძალიან ახლოსაა. ახალი ევროპა ცდილობს მეზობელთან კეთილგანწყობას. ახლა ძალიან ძნელი წარმოსადგენია ფრანგულ-გერმანული ომი. ევროპა ალბათ დღეს მსოფლიოში ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც წარმოუდგენელია ომი...  
მე მინდა გავისწერო აგვისტოს ომი, საქართველოს თანამდევნი პრობლემები და მადლიერებით აღვნიშნო, რომ ქალაქი ნანტი, რომელიც ვცხოვრობ, (ის სხვათა შორის, 30 წელია თბილისთან დაძმობილებული ქალაქია), ყოველთვის თანაუგრძნობდა ჩვენს სამშობლოს და

მნიშვნელობაც ჩამოაყალიბა.“  
საბჭოთა დროის მწველი სხვა ინტერმედიასთან ერთად გაიგო ისიც, რომ „პაპია-ალაშვილი“ მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო და ცნობილი მოთხრობების ფრანგულენოვან რჩეულში შევიდა...  
„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უჯანაო“... — სადა ხარ ახლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელი... — წერს „მედნიერი“ ავტორი.  
ჩვენი „მედნიერი ერი“ ყოველთვის დიდი სიხარულით იღებდა უცხოელთა მაღალ აზრს თუ ქათინაურებს, მაგრამ რატომღაც თავად ძალიან ცოტას ავეთმებდა საკუთარი თავის არა მარტო ეთნოგრაფიულად და ემპირიულად, არამედ ნამდვილი ფორმით წარმოსაჩენად... ერთ-ერთ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ბატონ გასტონ ბუაჩის ფუნდამენტური ნაშრომები, ევროპაში უკვე პოპულარული წიგნები მრავალმხრივ გადაზრეული ქართული სიტყვის ინვესტიული სახე, პარალელური მსოფლიო კულტურასთან, მემუარისტიკასა და უნიკალურ დოკუმენტებზე დაყრდნობილი კვლევები, თუნდაც, რამდენიმე ეპოქის გამაერთიანებელი და უაღრესად საინტერესო ტრილოგია, საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ ქართულად არ გასულავეთ გამოცემული!...  
„ისინი პოეტები იყვნენ და არ იყვნენ თავიანთი ლექსების კომპოზიტორები“... — წერს რემი დე გურმონი ფრანგ სიმბოლისტებზე და შემოქმედის ფაქტზე, დაუცველ ბუნებაზე მიგვანიშნებს, რომ შემოქმედების ნაყოფის დასტამბვა და ტინაჟირება უკვე საზოგადოების საქმეა ისევე, როგორც მადლიერების გამოხატვა და მდამლად თავის დაკვრა ქმნილების ავტორის წინაშე.

# „არც ტყვია, არც სახრჩობელა“

## ილია ჭავჭავაძის სათქმელი საქართველოსა და ევროპისათვის

ხება მის უკანასკნელ ნამუშევარს — ილია ჭავჭავაძის თხზულებების თარგმანთა კრებულს, ქალაქ ნანტეს მერიის მხარდაჭერით და დაფინანსებით გამოცემულს), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და გაცილებით მრავლის მთქმელიაო, ვიდრე ჩემს მიერ აქამდე ნანახი მრავალთარგმანული შრომები საქართველოზე.  
— ამას წინათ წავიკითხე შვეიცარიელი დიპლომატის ცხრაასგვერდიანი ნაშრომი საქართველოს შესახებ... ბრძანა საფრანგეთის ელჩმა — მაგრამ თავისი საბოლოო მნიშვნელობით, ვფიქრობ, ამ პატარა წიგნთან შედარებაც არ შეიძლება. ილია ჭავჭავაძის კრებული არსებითად გვაყენებს რა ღირებულებების მატარებელია საქართველო. ეს წიგნი გადაკვეთავს საუკუნეს...



ლი გამოსასაღებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპელმა იყის ხოლმე“...  
\* \* \*

ფრანგის სიტყვები — „თუ შეხვედრით ერთმანეთს როდესმე“ და ევროპულად ჩამორთმეული ხელი ალბათ საქართველოში ევროპულ მენტალიტეტთან შეხვედრასაც ნიშნავს. ქართული ემიგრაციის თავყრილობაზეც შალვა ამირაჯიბმა თქვა, რომ ცნება „ევროპეობა“ ჩვენში ილია ჭავჭავაძის შემოტანილია.  
— რა აქვს ილია ჭავჭავაძეს დღეს სათქმელი საქართველოსა და ევროპისთვის? — ბატონი გასტონ ბუაჩი თავისივე დასმულ კითხვას არაერთხელ მიუბრუნდა

ურება ილია ჭავჭავაძის პათოსი...  
და კიდევ, ბატონ გასტონის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ილია გვიჩვენებს გზას, რომელიც XXI საუკუნის პროგრესულმა კაცობრიობამ აირჩია: არც კაცის კვლა, არც სიკვდილით დასჯა, ანუ „არც ტყვია, არც სახრჩობელა“, როგორც ილიას ფრანგულენოვან კრებულს ეწოდა. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული ილიას სახელმწიფო სათათბიროში ბრძოლა, მისი მრწამსი ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და მოთხრობა „ისევ სახრჩობელაზედ“.

სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა თანადგომას.

შეხვედრაზე ქართული და ფრანგული ენები ისმოდა. საუბრობდნენ ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ღრმა ტრადიციებზე, კულტურათა გადაშენების ხაზზე. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ გასტონ ბუაჩის უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნების სხვადასხვა გამოცემათა რეტროსპექტივას...  
და ბოლოს, გავგოთ მრავალმხრივ დამაფიქრებელი და შეუფასებელი პერსპექტივა: ბატონი გასტონ ბუაჩი ამზადებს თორმეტტომეულს — სხვადასხვა პერიოდის ქართული ლიტერატურის ფრანგულენოვან გამოცემას.  
ქართული საზოგადოება ბატონ გასტონის მადლობას უხდის იმისთვის, რაც გააკეთა და იმისთვისაც, რის გაკეთებასაც შემდგომ აპირებს.

„მას, ერთ პიროვნებას, გაკეთებული აქვს იმ მასშტაბის საქმე, რასაც მთელი ინსტიტუტი ვერ გააკეთებს — დასასრულს განმარტა ავადემიკოსმა რისმაგ გორდემიანმა. — ჩვენ დღეს გაცილებული ვუსმენდით იმასაც, თუ ბატონმა გასტონმა როგორ მოახდინა ილია ჭავჭავაძის აქტუალიზაცია. ზუსტად დაგვანახა, რომ ილია ევროპაზეა ორიენტირებული და ამ თემის

ნიმუ სოფარიანი



ბატონ ბუაჩი და ილია ჭავჭავაძის ფუნდამენტური ნაშრომების გამოცემის დასრულების შემდეგ



რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კომუნიკაციის უწყისებებს ეხმარება...

ები. რუსეთის მხრიდან არაპროპორციულად გა- მოყვნიებული ძალები ასევე მიჩნეულია საერთა- შორისო სამართლის დარღვევად.

ჭოს მოხსენებამ კი რუსეთის მოუხსნა პასუხის- მტებლობა საქართველოსთან ომის დაწყებაზე...

ტალიანის სიტყვებით, მოხსენების მზადე- ბის დროს ერთადერთი პრობლემა იყო მონა- ცემით უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც ერ- თმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ...

ბანსსადეპა

სს „საქართველოს სა- ფოსტო ბანკის“ ფიზი- კური პირების: მანანა- რეთა და მიფიონარა ან- ბარიშვილის მფლობელებად

სს „საქ. საფოსტო ბანკის“ მი- მართ თქვენი მოთხოვნის და- დასტურების და კუთვნილი თანხების მიღების მიზნით, გთხოვთ გამოცხადდეთ სს „საქ. საფოსტო ბანკის“ სალიკვიდა- ციო კომისიაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართ- ზე: დ. წყნეთი, გურამიშვილის ქ. №39 (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შტოში, მე-4 სართული).

სს „საქართველოს სა- ფოსტო ბანკის“ ბანკის ყოფილ თანამშრომელ- თა და პენსიონართა სა- მურადლელოდ

თქვენი კუთვნილი თანხების მისაღებად მიმართეთ სს „სა- ქართველოს სახალხო ბანკის“ რაიონულ ფილიალებს 2009 წლის 1 ნოემბრამდე. ამასთან სავალდებულოა წარმოადგინოთ პირადობის მოწმობები, ხოლო პენსიონე- რებმა საპენსიო წიგნაკები.

7.5 რუსეთის სასარგებლოდ

იმას, რომ რუსეთიც და საქართველოც შეძლებენ მონახონ დოკუმენტური თვითნათივი გამართლება, აქვს პლუსებიც და მინუსებიც: ორივე მთავრობა მონახავს, თუ როგორ წარ- დგეს საზოგადოებრივი აზრის წინაშე, მაგრამ თითოეულ მხარეს შეუძლია თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. თუმცა მოხსენების შედეგებს ყური უნდა უგდოს არა მხოლოდ ორმა მემბრამ მხარე, მოუწოდებს „ინდეპენდენტი“. ომის დაწყების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობა და სხვა დასავლელი ქვეყნების მთავრობები აი- ქარდნენ, დაესახელებინათ რუსეთი „ბორტ- მოქმედად“, საქართველო კი — „უდასაშაულო მსხვერპლად“. სტრუქტურულად დამყარებული ათვის რეაქცია ხელსაყრელი გამოდგა რუსეთის- ათვის გაბრუნებულ იყო დასავლეთზე. ამაშია- დროდესაც ობამამ განაცხადა პოლიტიკა და ჩე- ხეთში რაკეტსანინალმდეგო თავდაცვის გან- თავების გეგმის უარყოფის შესახებ, ევროსაბ-

შვეიცარიული „ლე ტემპსი“ აქვეყნებს ექს- ლუზიურ ინტერვიუს შაიდი ტალიანისთან სა- ქართველოში კონფლიქტის მიზეზების შესახებ. „კონფლიქტი საქართველოში არ იყო ადგი- ლობრივი ან რეგიონალური მასშტაბის პრობ- ლემა. მან საფრთხის ქვეშ დააყენა ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აგრეთვე უშიშროების მთელი სისტემა ევროპაში, რომე- ლიც ყალიბდებოდა 1970-იანი წლებიდან“, — აღნიშნა ტალიანი. მისი სიტყვებით, პასუ- ხისმგებლობა კონფლიქტისთვის ეკისრება ორი- ვე მხარეს და საუბარში იგი დანერვილებით გან- მარტავს კომისიის არგუმენტაციას. სხვათა შო- რის, აღიარა მან, კომისიის დასკვნები არაი- თარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს სიტუა- ციის ნორმალიზაციას, ვინაიდან კონფლიქტის მხარეები „უარს ამბობენ, აღიარონ საკუთარი პასუხისმგებლობა და გამოიტანონ დასკვნები წარსულის გაკვეთილებიდან“.

პრესის მიმოსილვა

კონკურსი

„ღია სანოტიკაღობა - საქართველოს“ კეთილი ნების ვისია...

ფონდ „ღია სანოტიკაღობა - საქართველოს“ ინიციატივით, გა- მოცხადდა კონკურსი — „სამოქა- ლაქო ინტეგრაციის ახალგაზრ- დული საზაფხულო ბანაკები“.

ტებული ქართველი ოსი, სომე- ხი, აზერბაიჯნელი მოზარდე- ბი ფონდის „ღია სანოტიკაღო- ბა — საქართველოს“ ოფისში მიიწვიეს.

მეზბის წინ წამოწევა და ეთნი- კურ უმცირესობათა კულტუ- რის პროპულარიაზაცია.

ქვემო ქართლში — „ხიდი“), ორგანიზაცია „კეთილი ნების მისია — მისიონერები“; ასო- ციაცია „ბეთლემი“ და მრავალ- ფეროვნების მართვის ტრენე- რების მოსამზადებელი სა- ზაფხულო სკოლა-ბანაკი.

შვები ერთმანეთს თბილი მო- კითხვით ესალმებიან. — „ღია სანოტიკაღობა — საქარ- თველოს“ ფონდის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ხუციშ- ვილმა განმარტა: — ეს ორგანი- ზაცია ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდების დაახლოების ხელშეწყობისთვის შეიქმნა. მო- ხარული ექილები, თუ მათი ურ- თიერთობა დიდხანს გაგრძელ- დება, ჩვენი ფონდი მათ დასახ- მარებლად ყოველთვის მზად არის.

ხატია მუსარიძე

საქმე №2/3134-08 წ.

ბანჩინება საქართველოს სახალხო სასამართლო უბიჭობინების საჯაროდ გამრცელების შესახებ

28 სექტემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მოსამართლე ლევან გვარამია განხილვის ფორმა — ზეპირი მოსმენის გარეშე განმცხადებელი: შპს „ბიბო“-ს დირექტორი გიორ- გი ნაჭყებია, წარმომადგენელი — მამუკა ჯაშიაშვილი, მონინალმდეგე მხარე — ს/ს „კრწანისი 99“-ის აქ- ციონერები, განხილვის საგანი — ს/ს „კრწანისი 99“-ის აქცია- თა სავალდებულო მიყიდვა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა შპს „ბიბო“-ს გან- ცხადებაზე საჯარო უბიჭობინების გამოქვეყნების საკითხი დაადგინა: 1. შპს „ბიბო“-ს დირექტორის გიორგი ნაჭყებიას გან- ცხადების გამო სამოქალაქო საქმეზე სს „კრწანისი 99“- ის აქციონერების ანა აკოვფაშვილის, ქეთევან აზარიაშ-

ვილის, ასმიკა აკოვფის, თენგიზ ალექსიშვილის, რაუ- დენ ანანიაშვილის, ბესარიონ არჩვაძის, მარია ასათიანის, თამარ ბასიშვილის, ნანა ბახტაძის, მანანა ბედელაძის, ნინო ბერაძის, ვერა ბერიაშვილის, ზაურ ბინაძის, ნათელა ბოს- ტოლიანაშვილის, ნინო ბუგულაშვილის, თინა გაგნიას, ევა გალიანის, მადონა გაჩეჩილაძის, ზურაბ გვაზაძის, მიაა გოგიტაშვილის, ციცილო გიგუაშვილის, ნინო გოგეიშვი- ლის, თამარ გოგაძის, ტასო გოგილაშვილის, როზა გრი- გორიანის, სულიკო გულუაშვილის, ყუყუნა გურგენოვის, შოთა დავითაშვილის, ივეტა ეგოზაშვილის, გიორგი ეფრე- შვილის, ნანა ექვთიმეშვილის, ევგენია ველიანის, ციური თავაშვილის, ნინა ივითხანოვის, ნანა ირემიძის, პანტელე- იმონ კაზარაიანის, ხანუშ კაკაშვილის, რიმა კარაპეტიალის (არაქელაშვილი), ლეილა კარაიანის, ფოკე კასოვის, კლავდია კალენიას, ვართანუშ კნიაზიანის, ზაირა კობახიძის, ვლა- დიმერ კოვალიოვის, ალექსანდრა კოტენევა, მერაბ კოხ- რეიძის, ყუყუნა კრილაშვილის, ირინე კუსისის, გიორ- გი კუჭუხიძის, ნინო ლაკიას, ნანა ლემუჩეას, ზაირა მამუ- მიშვილის, ლიზა მაისურაძის, მირა მაისურაძის, ჟამბი- ნა მაკარევიჩის, მერაბ მამულაშვილის, ლიზა მაისურა- ძის, მირა მაისურაძის, ჟამბინა მაკარევიჩის, მერაბ მამუ- ლაშვილის, მარია მამონტოვის, ნუგზარ მალრაძის, ქეთევან მალრაძის, მედიკო მელქაძის, თინათინ მენბაძის, გიორ- გი მერაბიშვილის, დავით მირუაშვილის, ქეთევან მირუ- აშვილის, თამარა მოდებაძის, ვახტანგ მოსეშვილის, რი- ტა მოცრაძის, ნიგარა მურადოვის, ყუყუნა მურადოვის, ვახტანგ მუსხელიაძის, მარია მუსტოვა, ვაჟა ნადირაძის, ბიურეჩიკა ნერესიანის, ნორიკ ნერესიანის, ევგენია ნურ- ბეკიანის, ანაიდა ოგანეზოვის, ნონა ოთარაშვილის, ნი- ნა პანკოვას, ეთერ პარუნაშვილის, რაჩიკა პოლოსიანის, ტარიელ ჟორჟოლაძის, ია რამიშვილის, ვენერა რეხვიაშ- ვილის, დიმიტრი რიზაევის, ოლღა რუხაძის, ლეილა სა-

აკაშვილის, დავით საკინაშვილის, სოფიო სარიევის, სო- ფიო სახლთუხუციშვილის, თამარ სტრიგუნოვის, ნანული სუხიაშვილის, თინა სხილაძის, მარინე ტატიშვილის, ქე- თევან ტოპეშაშვილის, ნადეჟდა ტორჩენავას, რიტა ტუკ- ვაძის, შამო უსოევის, თამილა ფორიევის, ვერა ფხაკაძის, ნინა ქათამაძის, ლია ქაიხოსროშვილის, აზა ქართველიშ- ვილის, გივი ქაცარავას, ტარიელ ქაჯაიას, ცისანა ქელე- საშვილის, ზინა ქელივიძის, ნინა ქუთათელაძის, დეზდე- მონა ქუშისაშვილის, ევა ყაულაშვილის, არამ შალიკაშ- ვილის, ლიანა შატბერაშვილის, ლილი შურდუკოვას, ნელი ჩენიკოვას, თამარ ჩეტრევაშვილის, ანია ჩოხანიანის, ლიანა ცომაიას, რევაზ ცომაიას, დავით ცხვირაშვილის მიმართ, ლალი ჭუმბურიძის, ელენორა ჭყობიძის, შუშანა ხაჩატუ- როვის, კარინე ხეჩოიანის, ბადრიჯან ჯამალოვასა და ტა- ტიანა ჯაყელიის მიმართ ს/ს „კრწანისი 99“-ის აქციათა სა- ვალდებულო მიყიდვის თაობაზე სასამართლოს მთავა- რი სხდომა დაიწმოს 2009 წლის 16 ოქტომბერს 14:00 სა- ათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დასაბუთო №26 (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6); 2. ზემოთ დასახელებულ პირებს განემარტოთ, რომ სა- სამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლე- ბა გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და მხარეთა გა- მოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. 3. განჩინების გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და „კვირის პალიტრა“ განხორციელდეს გან- ცხადებლის ხარჯებით. 4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე ლ. ბპარამია ასლი ედვანთან სწორია მოსამართლის თანამეჭვე ნ. თაბაბარი

ფეხბურთი

მსოფლიო შედეგები

ევროტურნირების მორიგი რაუნდი უფასო თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის მონაწილეებმა დაასრულეს. გათვარჯობით II ტურის შეხვედრათა შედეგებს:



- „ა“ ჯგუფი. „ანდერლეხტი“ — „აიაქსი“ 1:1, „ტიმიშოარა“ — „დინამო“ (ზაგრები) 0:3. „ბ“ ჯგუფი. „ვალენსია“ — „ჯენოა“ 3:2, „სლავია“ — „ლილი“ 1:5. „გ“ ჯგუფი. „სელტიკი“ — „რაპიდ“ 1:1, „ჰამბურგი“ — „ჰაპოელ“ 4:2. „დ“ ჯგუფი. „ვენტსპილსი“ — „ჰერენვენ“ 0:0, „სპორტინგი“ — „ჰერტა“ 1:0. „ე“ ჯგუფი. „რომა“ — ცსკა (სოფია) 2:0, „ფულჰემი“ — „ბაზელი“ 1:0. „ვ“ ჯგუფი. „გალათასარაი“ — „შტურმი“ 1:1, „დინამო“ (ბუქარესტი) — „პანათინაიკოსი“ 0:1. „ზ“ ჯგუფი. „ხალცბურგი“ — „ვილიარეალი“ 2:0, „ლევსკი“ — „ლაციო“ 0:4. „თ“ ჯგუფი. „შერიფი“ — „ფენერბახე“ 0:1, „ტვენტე“ — „სტიაუა“ 0:0. „ი“ ჯგუფი. აეკი — „ბენფიკა“ 1:0, ბატე — „ევერტონი“ 1:2.



- „კ“ ჯგუფი. „შახტარი“ — „პარტიზანი“ 4:1, „ტულუზა“ — „ბრიუგე“ 2:2. „ლ“ ჯგუფი. „კოპენჰაგენი“ — „სპარტა“ 1:0, „ეინდჰოვენი“ — „კლუი“ 1:0. „მ“ ჯგუფი. „ვერდერი“ — „ბილბაო“ 3:1, „აუსტრია“ — „ნაიონალი“ 1:1.

რაზმი

25 ოქტომბრიდან — კოიბზრაში

პორტუგალიის ქალაქი კოიბრა ცხრა-მეტწლამდე მორაგბეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრება 25-31 ოქტომბერს გაიმართება. მედლებისთვის რვა ქვეყნის წარმომადგენლები ითამაშებენ. ასპარეზობის სტარტზე 25 ოქტომბერს იბრძობებიან: საქართველო — გერ-




მანია, იტალია — პორტუგალია, რუსეთი — პოლონეთი, ბელგია — ესპანეთი. სამი დღის შემდეგ ნახევარფინალები გაიმართება. 31 ოქტომბერს კი გადამწყვეტი მატჩია დანიშნული. ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ლევან მასისაშვილი და მიხეილ სუჯაშვილი მოამზადებენ.

ინტერნეტიდან

ფერნანდო ალონსო „ფერარიში“

როგორც იტალიიდან იტყობინებიან, საავტომობილო კლუბმა „ფერარიმ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ალონსოსთან. ამავ დროს გამოცხადდა, რომ ალონსოს თანამებრძოლი რბოლეზი იქნება 2008 წლის ვიცე-ჩემპიონი, ბრაზილიელი ფელიპე მასა. რაც შეეხება ფინელ კიმი რაიკონენს, კონტრაქტი 2010 წლამდე რომ ჰქონდა გაფორმებული, განთავისუფლებულია ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან იტალიური კლუბის წინაშე.

ბილანსოს განცხადებით, „ფერარიში“ გადასვლა მისი ცხოვრების საუკეთესო გადაწყვეტილებაა.



ისევ საჭესთან

ავტობოლის „ფორმულა-1“ 2008 წლის მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი, ბრაზილიელი ფელიპე მასა, იელისის ბოლოს „უნგრეთის გრან-პრის“ გათამაშების კვალი-ფიკაციაზე ჰუნგარორინგზე თავის ქალის სერიოზული ტრავმა რომ მიიღო, ისევ მიუზღდა საჭეს. როგორც სან-პაულოდან იტყობინებიან, ამ ქალაქის გარეუბანში, კარტოდრომზე ის კარტის საჭეს მიუზღდა და 7 წრე გააკეთა. ამ სანვრითელ ვარჯიშს ესწრებოდა „ფერარის“ პილოტის პირადი ექიმი დინო ალტიმანე, მისი ნათესავები და მეგობრები. ექიმის რეკომენდაციით, ვარჯიში ერთ საათზე დიდხანს არ უნდა გაგრძელდებოდა, რათა მრბოლის ზურგი არ ასტკივებოდა; თუმცა ძლიერი წვიმის გამო ვარჯიში 7 წრის შემდეგ შეწყდა. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ არავითარი დისკომფორტი ან დაღლილობა მასათვის არ შეუშინებიათ და მას ნამდვილად შეეძლო რბოლის გაგრძელება. მეორე დღეს ფელიპე კარტოდრომზე მასთან ერთად მივიდა და უფრო დიდხანს ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ ჰუნგარორინგზე კატასტროფის შემდეგ მასას გაუკეთეს ნეიროქირურგიული ოპერაცია ტრავმირებულ თავის ქალაზე მან ორი დღე ხელოვნურ კომაში გაატარა და, აღდგენითი პროცესის სწრაფი ტემპების მიუხედავად, ექიმების პროგნოზების მიხედვით, ის საჭეს მხოლოდ მომავალ სეზონში უნდა მისჯდომოდა, როგორც ამბობენ, მართლდება „ფერარის“ შეფის სტეფანო დომენიკალის პროგნოზი, რომ მასა საჭეს მიმდინარე სეზონშივე მიუზღდება.

ვინ არის საუკეთესო?

მძლევსობის ევროპის ფედერაცია (EAA) იმ სპორტსმენ ქალებს ასახელებს, ვინც მოიპოვა ლა-

ბრიატორე — ოქროს კაცი

მართალია, ამას წინათ თანამედროებიდან გადაყენეს „ფორმულა-1“-ის საჯინობო „რენოს“ პატრონი ფლავიო ბრიოტორე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ცუდიც და კარგიც მუდამ ერთად არიან. სწორედ ეს დადასტურა ბრიატორეს მაგალითმა, სამსახურიდან „დათხოვნასთან“ ერთად, მან ერთობ სასიამოვნო ამბავი გაიგო — თურმე ფეხბურთში მისი ლამაზმანი ცოლი ელისაბედ გრიგორაჩი. ამ ამბავმა ფლავიო ძალზე გაახარა.

ქალიშვილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მზადაა ბრიატორესთვის მიცემული იმ ფიცის დასაცავად, 2008 წლის 14 ივნისს საკურთხეველთან რომ დადო: „შენთან ვარ სიხარულსა და მსუხარებაში, ავადმყოფობასა და სიხარულში“.

„დღემდე არ ვიცით, თუ ვინ დაგვებადება, ბიჭი თუ გოგო, — განაცხადა ელისაბედმა, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ფლავიო დიდებული მამა იქნება, ისინი საერთოდ, ოქროს კაცია!“



ოლიმპიზმი

კრომპარუჩი რაიბობის შიშით

ტიმპიუს გუბერნარომა სინტარო ისიხარამ განაცხადა, რომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშები, რომლის მასპინძლობაზე ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქიც აცხადებს პრეტენზიას, შესაძლოა, უკანასკნელი იყოს კაცობრიობის ისტორიაში, გლობალური დათბობის საშიშროების გამო.

„გლობალური დათბობის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება, გამორიცხული არ არის, რომ მალე მოგვინებს ისეთი ზომების გატარება, რაც არ შეესაბამება ოლიმპიური თამაშების ჩატარებას. მეცნიერები ამბობენ, რომ კაცობრიობამ გადაახა დაუბრუნებლობის წერტილი“, — განაცხადა ისახარამ.

2016 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის არჩევნები გუშინ გვიან ღამით გაიმართა კოპენჰაგენში სოკის მორიგ სესიამ.

ჭადრაკი

საიმაჟუსის წინ



ჩინურ ნანცზინში გრძელდება ქალთა და ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირები. მანდილოსანთა შეჯიბრებაში კარგად ასპარეზობს ქართველი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე. მან ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, მაგრამ გუშინ არცთუ ძლიერ მეტოქეს — ფრანგ მარი სებაგს დანებდა. ამის მიუხედავად, ერთპიროვნული ლიდერობა არ დაუკარგავს, რადგან ჩინელმა სიუ იუჰუამ, რომელიც ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ძაგნიძეს, გუშინ მონოლო ბაიათ მონგონთუულთან წააგო. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) — ჟაო სიუ (ჩინეთი) 1:0, ბელთუზილი (თურქეთი) — ჟურენი (ყატარი) 0:1, ცზიუ ვენცზიუნი (ჩინეთი) — ზაირა კოვანკოვა (რუსეთი) 0,5:0,5, მარტა ფიერე (ევადორი) — შენ იანი (ჩინეთი) 0,5:0,5.

ვაჟებში ჩინეზული შედეგი აქვს მაგნუს კარლსენს. გუშინ მან თემურ რაჯაბოვს სძლია. პეტერ ლეკო და დმიტრი იაკოვენკო, ვესელინ ტოპალოვი — ვენ იუე დაზავდნენ. კარლსენს 4,5 ქულა აქვს, ვენ იუეს — 2,5, დანარჩენმა მოჭადრაკეებმა 2-2 ქულა მოაგროვეს. ტურნირებზე დღეს დასვენებაა.

მინიფეხბურთი



მერია უქლეველია


გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრში, გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“, ქუთაისის „ტორპედოს“ და რუსთავის „მეტალურგის“ ყოფილი ფეხბურთელის მამულ ანთიმის სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში სამინისტროებისა და უწყებების თანამშრომლების შორის. შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორები იყვნენ სპორტისა

ში თბილისის მერიის გუნდმა რკინიგზელთა ნაკრები დაამარცხა და მთავარი პრიზი მოიპოვა. მესამე ადგილები ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროთა გუნდებს ხვდათ. გამარჯვებულები და პრიზორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და თასებით დაჯილდოვდნენ. ისინი 12 დეკემბრიდან სპორტის დეპარტამენტის დარბაზში კახი ასათიანის სახელობის ტურნირში (ორგა-



და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (დავით ნამგალაური), ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ (თენგიზ გაჩეჩილაძე), საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი (იროდი ბუფაშვილი), 9 გუნდი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალ-

ნიზატორები — კახი ასათიანის სახელობის საერთაშორისო ფონდი, სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი) ჩაებმებიან. გიორგი გაგუა სურათი: შეჯიბრების მომენტი; გამარჯვებულები ორგანიზატორებთან ერთად.



სუბარსიხვა

ალიარტალი - გალიარტალი

ანტიფაშისტი მილიციელი

იმ პერიოდში, როცა ეს ამბავი მოხდა, სტუდენტი ვიყავი და რკინიგზის სადგურიდან ვაკეში მიმავალ ტრამვაის მიყვებოდი. ტრანსპორტში ტყეა არ იყო. თერთმეტსართულიანთან, გაჩერებაზე, თვალი მოვკარი ქართლოს კასრამძეს, რომელიც აძრულ ტრამვაის გამოეკიდა და ფიცხლად შემოახტა. კართან მდგომი მილიციელი საქმეში უმალ ჩაერია:

- რატომ არღვევ ნესრიგს, ახალგაზრდავ?
- მე კი არა, შენ არღვევ! - იქით შეუტია ქართლოსმა.
- მე? - განცვიფრდა ნესრიგის დამცველი.
- დიას შენ, გაჩხერილხარ შუა კარებში და მგზავრებს ტრანსპორტში ამოსვლის საშუალებას არ აძლევ.
- აბა ამას უყურეთ, - გაცხარდა მილიციელი, - ნესრიგი და არღვია, გაქანებულ ტრამვაის შემოახტა და შენიშვნაც არ სურს, რომ მივცე. ხულიგანი ხარ, შენ ვილაცა ხარ!
- მე თუ ხულიგანი ვარ, შენ კიდევ ანტიფაშისტი ხარ!
- მე ვარ ანტიფაშისტი? - აიღენა მილიციელი, - შეურაცხყოფისთვის ახლავე განყოფილებაში წაგიყვან.

- დიას შენ, ანტიფაშისტი ხარ, აბა ვინა ხარ?
ხალხმა თავი ვეღარ შეიკავა და აფხუკუნდა. ნესრიგის დამცველი გაოგნდა.
- აი, ხომ ხედავ, მიუტრიალდა ქართლოსი, ხალხმაც იცის, რომ ანტიფაშისტი და დასაჭერი ხარ.
მილიციელმა იფიქრა, ჩემი საქმე ცუდად არისო (მაშინ რომ ახალი დამთავრებული იყო და სიტყვა ფაშისტი საშიშად ისმოდა) და მორიგ გაჩერებაზე სასწრაფოდ ჩავიდა. მგზავრები სიცილით იფხრინებოდნენ...

მელთა საკუთარი ფეხით ეწვია

იმხანად რაიონული გაზეთის რედაქტორად ვმუშაობდი და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ელგუჯა მალრადე მუშაობდა, ხშირად ვსტუმრობდი. ერთხელაც თავმჯდომარის მისაღებად, სადაც უამრავი მთხოვ-

რუმორს იქნა ამხდა ოცნება: დაინიშნა რედაქტორად და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეც ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ელგუჯა მალრადე მუშაობდა, ხშირად ვსტუმრობდი. ერთხელაც თავმჯდომარის მისაღებად, სადაც უამრავი მთხოვ-

ძილისპირული ოცნება

აუცილებელია. მე ხომ სწორედ მშრომელთა პარტიის ლიდერი ვაყავი. ჰო, დიასაც რომ მშრომელებზე ფიქრით ვალაგებ და ვათენებ. ჩემი პარტია ხომ სულთმობრძეა კომპარტიამ უკანასკნელი კვირები რომ დადო, სწორედ იმ კვირებიდანაა გამოჩენილი. მეც კომუნისტი არ ვიყავი განა?! მთლად პარტიკომი არ გახლდით?! ამის გამო ვაუშუშობაც კი დამაბრალეს. აგენტები თავისკენ მოიკითხონ. ვინ მოთვლის რამდენი აგენტია უზენაესი საბჭოდან დაწყებული და ამ პარლამენტითა და მთავრობით დამთავრებული. ვგზს ყველა აგენტის გვარი შევირად ვიცი, მაგრამ მათ გვარებს ვერ გავამხელ, ვინაიდან ხელი მაქვს მონერილი კომუნისტების დროს. ეს რომ გავიფიქრე, ბუზი შემოფრინდა და მაინცდამაინც ტუჩებზე მეცა. გაზეთი ფერფრე და გინებაც მივაყოლე... სამზარეულოდან ცოლმა გამოყო თავი და მეუბნება, ნუ აგინებ, მაგის დედა ორსულადაა. ცოლი ისეთი კუთხიდანაა, სადაც იუმორი უყვართ, გინება კი ევაჯერებათ. რა მოხდა, თუ შევიგინე... გინება მტყვევლებს ასე ვერ იტყვებს, თორემ... გინება კი არა, გურულის არ იყოს, დეკემბრ არ მიდის ადრესატამდე ამ ჩვენს არეულ-ანეწილ დროში.

ნელი იყრიდა ხოლმე თავს, მე და პოეტი იაკობ მელია ერთად მოვეხვით. რა თქმა უნდა, მასპინძელმა პირველ რიგში პოეტი მიიღო. ბატონმა ელგუჯა მალრადემ, როგორც სჩვეოდა, შემოქმედი ჯიგრიანად მოიკითხა, მოეფერ-მოესიყვარულა და რა გაგჭირვებიაო? - ჰკითხა.

- ნიგნის გამოცემა მინდა, მაგრამ სტამბაში უარს მეუბნებიან, ტყვია არა გვაქვსო (მაშინ ტექსტს ლინოტიპით აწყობდნენ, რომელიც ტყვიას მოისმარდა) - დაინუნუნა პოეტმა. ელგუჯა მალრადე სასწრაფოდ ტელეფონის ყურმილს დასწვდა, საჭირო ნომერი აკრიფა და სტამბის დირექტორს დაუცაცხანა: თქვე უნამუსოებო, როგორ არა გრცხვენიათ, მელია საკუთარი ფეხით გვეწვია და მისთვის ტყვია როგორ გენანებათო.

მეც თუ ვიბანავე...

- რა ცხვირპირი ჩამოგტირის, - ვეუბნები მეგობარსა და კოლეგას - ელგუჯა ლეხანიძეს, რომელსაც ტელეგრაფის სახლთან შევხვდი - ზაფხულს.
- ცხვირპირი საერთოდ რომ შემრჩა ამათ ხელში, არ გიკვირს?
- ვის ხელში, კაცო, ისევ მთავრობას აგინებ?
- მთავრობას რახანია თავი დავანებე (მათმა გინებამ შედეგი არ გამოიღო), ახლა ნათესავებზე გადავიდი.
- ნათესავებმა რაღა დაგიშავეს?
- აი ნახე, ამ თვეში 85 ლარი დენისა გადავიხადე, 45 ლარი - სატელეფონო ლაპარაკისა, ნამუსი აღარ არი?!
- კი მაგრამ, ნათესავები რა შუაში არიან? - დავინტერესდი.
- ლაპარაკობენ, ბატონო, მთელი დღე ლაპარაკობენ ტელეფონით და რო მოსწყინდებათ, მერე - ბანაობენ.
- ჩემი ნათესავებიც ლაპარაკობენ ტელეფონით და მგონი ბანაობენ კიდევ, - ვეუბნები, - მაგრამ ფულს მე კი არ მახდევინებენ.
- არც მე ვინდობი, ვიდრე სოფელში იყვნენ, მაგრამ ახლა ჩემთან არიან და ეროვნულ გამოცდებს აბარებენ.
- რას იზამ, ჩემო ელგუჯე, - ვამშვიდებ, - შენც ხშირად იბანავე და დანყნარდები.
- გაგიფიქრე, ძმაო, მეც თუ ვიბანავე, იცი სად გაკრავს?..

ოთარ სუციფილი

ანეკდოტები

ორი დაქალი საუბრობს:
- რად ხარ ასეთი სევდიანი?
- საშინელი რამ დამესიზმრა...
- მომიყვიე!..
- კარგი, რა...
- მომიყვიე, გთხოვ!
- ჰო, კარგი, დამესიზმრა, თითქოს ბინაში ბრედ პიტი და რიჩარდ გირი მენვიცნენ და ჩემს გამო ჩემს ქმარს ჩხუბი დაუნყეს.
- ეს სიზმარი კი არა, ნატურაა!
- ჰო, მაგრამ ჩემმა ვირმა ქმარმა ისინი გალახა!
- ძალიწვილი, გათხოვილი ხართ?
- არა.
- რატომ?
- აბა, რა ვიცი... მსინჯავენ კიდევ, მაქვებენ კიდევ, წაყვანიტ კი არავის მიყვავარ!

რეალობა

როგორ ხარ, ქვეყნის სინდარს-ნამუსო, პატიოსანო, მშრომელო კაცო?
მინდა მტერს გული შურით ალუვსო და შენი ყოფა-ცხოვრება ვამცნო.
- მთავრობის ჯიბრით, ოჯახის ხათრით, ვცხოვრობ როგორღაც, თვალების დათხრით.
...
მიაქვს წუთისოფელი ნიავსა და ქარს, ეს დღეები ერთმანეთს ტყუპებივით შგავს, ხალხისათვის არავინ არ ინუხებს თავს, მე მგონია, პირიქით, ხდიან ცხრაპირ ტყავს, ტვინის ნაცვლად ხმარობენ ტყვიას, ენას, მკლავს, ვისაც უნდა გაგვლახავს, ვისაც უნდა გვევლავს. ველავს ეტანებიან პრეზიდენტის ნავს, მამასისხლად ჰყიდიან ჩინოვნიკის სკამს, ღვთისმშობელის მაგიერ მავანს ეშმა სნამს, ნაძირალა ნამუსს ხდის ცეროდენა ბავშვს, ბევრი უკულმართობას ისევ უკრავს ტაშს, კარგავს წიგნობრიობა წონასა და ფასს, ეს დღეები ერთმანეთს ტყუპებივით შგავს.

ეპიტაფია

ღმერთო რამ მოგვიმრავლა სოგლახე და ფინთობა, განადგურდა ქვეყანა, კაცი აღარ ინდობა. მომსპარია ბოლომდე ქართველური ზრდილობა, სტუმართმოყვარეობა და თავდაჭერილობა. ისე გაუფასურდა კაცობა და ნამუსი, შემეზიზნა ბიციცხლე და წერტილი დავუსვი.
ნიკოლოზ იოსებიაძე
...
პიანი წევხარ, ეს ღორები კი არც დაგიჩეკვენ იმის გასაგებად, ცოცხალი ხარ თუ არა.
...
- ივანე, ჩვენ სულ მდიდრები ვართ?
- არა, ჩვენ სულიერად ვართ მდიდრები, სულით კი ავადმყოფები ვართ...
...
- რატომ არის, მხოლოდ მდიდარი მამაკაცები გიყვართ? - ეკითხება ჟურნალისტი კინოვარსკვლავ ქალს.
- ო, ცდებით! მე მხოლოდ მხიარული მამაკაცები მიყვარს. და რა ჩემი ბრალია, თუ ღარიბებში ასეთები არ არიან?

ანზორ გვარამია



საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ზალანს-ზე რიცხული გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მიყვანილ 2 ერთეულ საპატრულო კატარლავ ჯართის სახით.

Table with 5 columns: lot #, description, starting price, current price, bid amount. Row 1: 1, საპატრულო კატარლავ ჯართის სახით, 20.0, 2860.0, 300.

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები: აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 50 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 90 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის 100 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის №120236700. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტ „დელტა“-ს მოთხოვნებს, პირი იქნის მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ: აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 5 ოქტომბრიდან 2009 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტ „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 3 ნოემბერს 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული. აუქციონში მონაწილეობისთვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები: - დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი; - ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შექნილი ბილეთის საბანკო ქეითრები; - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი; - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით; - იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა: აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასრულებს ყველაზე მაღალ ფასს. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ტელ: 95-28-28. მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

იხილეთ აპარატი „ჰოშიზაკი“. მოდელი „1 M-21 CHE“, ვერცხლისფერი, ახალი, წონა 34 კგ, წარმადობა 30 კგ 24 საათში. ფასი 1200 ლარი ტელ: 858 12 88 60 ნოდარი.

საქართველოს რესპუბლიკაში 99-82-77; 899 32-85-76.

ღღის კალენდარი

მე-17 შვიდწლიანი სულთმოფენობიდან. შაბათი.

ჯვრის ამალღების შემდგომი შაბათი. სხენება დიდმოწამის ევსტათი პლაკიდასი, მისი მეუღლის თეოპისტიასი და შვილთა მათთა — ალაპისა და თეოპისტიესი (და-ახლ. 118). ერთანმინდობა.

დაიბადნენ:

- 1803 — ჯონ გორი, ექიმი, რომელმაც სამაცივრო დანადგარების პრინციპი აღმოაჩინა, გარდაიცვალა 1855 წელს.
1887 — ივანე ფრანგულიანი, ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. გარდაიცვალა 1970 წელს.
1895 — სერგეი ესენინი, ცნობილი რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1925 წელს.
1900 — თომას ვულფი, ამერიკელი მწერალი.

გარდაიცვალნენ:

- 1226 — ფრანცისკ ასიზელი, რომის კათოლიკური ეკლესიის წმინდანი, ფრანცისკელთა ორდენის დამფუძნებელი.
1629 — გიორგი სააკაძე, ალექსანდრე ნევერსკის შტაბის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს გიორგი სააკაძეს.
1910 — ჟან ანუი, ფრანგი დრამატურგი, მთარგმნელი, თეატრალური მოღვაწე და კინოსცენარისტი.

მოვლენები:

- 1762 წელი — რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II კრემლის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დედოფლად აკურთხეს.
1922 წელი — ვაშინგტონში ამოქმედდა პირველი ფაქსის აპარატი.
1932 წელი — ერაყმა მიიღო დამოუკიდებლობა.

3 ოქტომბერი



- გარდაიცვალა 1938 წელს.
1904 — ჩარლზ პედერსენი, დანიელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
1908 — ვაზგენ I, სრულიად სომეხთა კათალიკოსი. გარდაიცვალა 1994 წელს.
1933 — ზურაბ კიკნაძე, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი.
1954 — ზაალ სამადაშვილი, მწერალი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

კურიოზები, წიკაურტაბი, მიხარება

სისულელე და ასეთი? საკუთარი წიგნების წაკითხვა (!) აუკრძალეს

პიერ რამი (პეტერ რამუსი) XVI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ჰუმანისტი იყო. თავის ორ ნაშრომში მან გაილაშქრა არისტოტელეს ლოგიკის წინააღმდეგ, რომელსაც „გამოესარჩლა“ სორბონის უნივერსიტეტი. გაიმართა დიდი მეცნიერული დისკუსია, რომელშიც რამემ აშკარად სძლია სორბონს. მაშინ გამოიცა მეფის დეკრეტი, რომელიც თავისივე უნივერსიტეტს მიემხრო და რამეს ორივე წიგნი აკრძალა. კიდევ უფრო უარესი შეიძლება იყო, რომ მეცნიერს სხვა რამეც ეკრძალებოდა: კერძოდ, ფიზიკური დასჯის მუქარით პარიზის უნივერსიტეტის საჯარო დისკუსიაში გამოწვევა. მას იმის უფლებაც კი ეკრძალებოდა, რომ ფილოსოფიურ, ლოგიკურ თემაზე სადმე ლექცია წაეკითხა. დეკრეტის ბოლო პუნქტი მაინც სულ გამოგნებელი იყო: რახან მისი წიგნები აიკრძალა, მეცნიერს იმის უფლებაც კი არ დაუტოვეს, რომ შიგ ჩაეხედა მაინც. ერთი სიტყვით, საკუთარ ნაშრომებს ვერც გადაუფურცლავდა და ვერც წაიკითხავდა!

სტენდალს რომ არ ეხსენებინა...

... მწერალ რანგუზის სახელი, შეიძლება ითქვას, არავის ეცოდინებოდა. ეს რანგუზი კი, რომ იტყვიან, დიდი მამაძალი ყოფილა. მან დაწერა წიგნი, რომელსაც, მაშინდელი მოდის თანახმად, ეპისტოლური ფორმა მისცა. თითოეული ეს წერილი რომელიმე ცნობილი პიროვნებისადმი იყო მიძღვნილი, დიდი იყო ქება, სოტბას ხშირად მთელი ფურცელი ეჭირა. და რახან წიგნში წარმოდგენილი ყველა პიროვნება თავი სხვებზე უკეთესად მიაჩნდა, წიგნის მისი ეგზემპლარი სწორედ მისადმი მიძღვნილი იწყებოდა. ეს იგი, იმდენი ცალი წიგნი დამზადდა, რამდენი შემკვეთიც ამ რანგუზს ჰყავდა. რა უნდა ექნა ამ სანყალ ასოთამწყობს, ოცჯერ მოუხდა გვერდების გადაწყობა. ამასობაში ნიჭიერმა გაიძვერა ავტორმა თითოეულ წიგნში 20-30 დუკატი მიიღო, ეს კი დიდი პონორარი იყო.

სად არის ნიუტონის მსგავსი გენიოსი?!

თანამედროვე მეცნიერების ყველაზე დამახასიათებელი თვისება მის კოლექტიურ ხასიათშია. როგორია დღეისათვის ამ „კოლექტივის“ რიცხვი? ამბობენ, რომ დღეისათვის ცოცხალია იმ მეცნიერების 90 პროცენტი, რომლებსაც მეცნიერების ისტორია იცნობს. იმასაც ამბობენ, რომ ყოველ 10 წელიწადში მეცნიერების რიცხვი ორმაგდება. ეს რიცხვი, უნდა ვიფიქროთ, კიდევ უფრო გაიზარდება, მაგრამ სტატისტიკას ამ სფეროში ადრე არაერთხელ „სირცხვილი უჭამია“. 150 წლის წინ შარლ ფურიემ თქვა, რომ როცა დედამიწა მთლიანად მოწესრიგდება, მოსახლეობის რიცხვი 3 მილიარდს მიაღწევს, მაშინ მუდმივად გვეყოლება ჰომეროსის მსგავსი 37 მილიონი პოეტი, ნიუტონის ტოლი 37 მილიონი მეცნიერი, მოლიერის ტოლი 37 მილიონი დრამატურგი. როცა დედამიწაზე მოსახლეობის რიცხვი 4,5 მილიარდს გადააჭარბა, გამოდის, რომ მეცნიერების რიცხვს მკვეთრად უნდა ემატა.

მაგრამ სად არის მათ შორის ნიუტონის მსგავსი გენიოსი. სწორი იყო გოეთე, როცა ამბობდა: „იოლია გვირგვინის შეკვრა, მაგრამ ათასჯერ უფრო ძნელია მისთვის ღირსეული თავის მონახვა“.



„ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა განვაცხადო...“

... რომ ეს მეორე „ილიადაა“. ასეთი აზრისა იყო ლევ ტოლსტოი თავის „ომსა და მშვიდობაზე“, რომელიც ბევრისთვის პირდაპირ სამაგიდო წიგნად იქცა, მაგრამ ბევრი მონიშნულმდეგეც გამოუჩნდა. — რა არის ეს თქვენი ლევ ტოლსტოი, მოსაწყენი წიგნია. რა წიკითხავს მაგას? — უთხრა ნობელის პრემიის ლაურეატმა (და ფეოლორ დოსტოევსკის დიდმა თაყვანისმცემელმა) ანდრე ჟიდმა ნობელის პრემიის კიდევ ერთ ლაურეატ ივან ბუნინს. აღმოფთვულმა ბუნინმა, სხვა სიტყვები რომ ვერ მონახა, ანდრე ჟიდს ჯოხი მოუქნია... ბუნინი ბავშვობიდანვე ლ.ტოლსტოის დიდი თაყვანისმცემელი იყო, ამასთან თავისი მამის ხუმრობით ნათქვამ სიტყვებსაც ისვენებდა, აი, თურმე როგორ კითხულობდნენ დიდ მწერალს მათი მეზობელი მემამულეები: — ერთნი მხოლოდ „ომს“ კითხულობდნენ, მეორენი მხოლოდ „მშვიდობას“. ერთნი გამოტოვებენ ყველაფერს, რაც ომს ეხება, მეორენი კი — პირიქით.

მომამბადა გივი გამრეკაძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ფოტოფაქტი



ძალად გლზგომში, მდინარე კლაიდში ოთხშაბათს შემოცურდა ცხვირბოთლა ვეშაპი. როდესაც გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ვეშაპი დაინახეს ქალაქის ცენტრიდან ახლოს, პოლიციამ დაიწყო მისი ძებნა.

ამინდი დღეს
თბილისი. +10 - +21
ქუთაისი. +11 - +19
ბათუმი. +15 - +21
ზუგდიდი +18 - +21
თელავი. +8 - +19

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს, გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს მამუკა ვაშაქიძეს დედის გულიკო ლოგუა-კაკაშვილის გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

დაკარგული მწყემსი იპოვეს

ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში მცხოვრები 22 წლის გიგა გურგენაშვილი, რომელიც 3 სექტემბერს გაუჩინარდა და მას შემდეგ აღარ ჩანდა, ნაპოვნია. გიგა გურგენაშვილი, რომელიც გაუჩინარებამდე ბორჯომის რაიონის სოფელ წითელსოფელში, ქართლელიშვილების კუთვნილ ფერმაში მწყემსად მუშაობდა, თეთრინყაროს რაიონის სოფელ მყავიაში გუშინ იპოვეს. როგორც ფერმის მეპატრონემ აკაკი ქართლელიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, გიგა გურგენაშვილი საკუთარ ოჯახს უკვე დაუბრუნდა. გურგენაშვილის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია ორი დღის წინათ გავრცელდა. დაკარგულის დედა პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებდა. სამართალდამცავებმა მედიის მიერ ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ ძებნა გაააქტიურეს. ძებნაში ქართლელიშვილების ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ.

XO-308-360

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაინას) ქ. 19
გამოცემათა: შპს „თანადგომა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 99-62-77; 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომეზაშვილი 899 53-76-16; რუსლან რუსია 899 17-21-21; სპარტაკ მოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი გავუა ვაშაქიძე 879 01-04-77
ინფორმაცია 66434 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მონაწილეობა, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.